ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 2 (282) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 28 იანვარი

19 იანვარი. დღის სამი საათია. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო გალერეა ხალხს ვერ იტევს. კედლებზე გამოფენილია 200-მდე ფერწერული ტილო, ყველასათვის ნაცნობი და ახლობელი. ქართველი მხატვრები და მოქანდაკენი, ხელოვნების ჭურუმნი, ლიტერატურის, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი, მოსე თოიძის ოჯახის წევრები, მთავრობის, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ერთმა სურვილმა მოიყვანა აქ — კიდევ ერთხელ განიცადონ სულიერი ტკბობა სასიქადულო მამულიშვილის, ქართული მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და მოჭირნახულის მოსე თოიძის ნაწარმოებთა ხილვით.

ახმაურდა მიკროფონი... საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას გახსნილად აცხადებს.

— დღეს, — ამბობს ბატონი უჩა, — მთელი ქვეყანა, ქართველი ხალხი, ზეიმით აღნიშნავს სახელოვანი თანამემამულის დაბადების 100 წლისთავს. ეს კი, პირველ რიგში, ქართული ხელოვნების ზეიმია, იმ ხელოვნებისა, რომლის განვითარებას უდიდესი ამაგი დასდო გამოჩენილმა მხატვარმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ მოსე თოიძემ, მხატვარმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ საბჭოთა მხატვრობას, გაკვალა მისი განვითარების გზა, დასაბამი მისცა ახალი ეპოქის სუნთქვასა და მაჯისცემას ქართულ სახვით ხელოვნებაში.

მხატვრის შემოქმედებასა და მის დამსახურებაზე ილაპარაკეს ხელოვნებისმცოდნემ ოთარ ფირალიშვილმა, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ოთარ ეგაძემ.

საიუბილეო ექსპონატებიდან დამსწრე საზოგადოებას დიდად მოეწონა დედის პორტრეტი, საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები, ძველი თბილისის ცხოვრების ამსახველი სურათები, ცნობილი ტილო „მცხეთობა“, ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეთა პორტრეტები და სხვა მრავალი.

* * *

ზეიმი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაგრძელდა. საღამო გახსნა საქართველოს კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ხელოვნების მუშაკები, მეზობელი რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები. მათ მოსე თოიძის ოჯახის წევრებს მუზეუმისათვის გადასცეს ადრესები, აგრეთვე ცნობილი სომეხი მხატვრის მარტიროსის სარიანის მილოცვა, სომხური მინიატურების ახალი გამოცემა. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

სურათებზე: ქვემოთ მოსე თოიძე; მხატვრის შერწერული ტილო „მცხეთობა“.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები



მხატვრის უკვდავება



მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავი.

ვიზიტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ჯეიკობ ბიმი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ლენარდ ჰარმენტი და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ფრენკ შექსპირი, რომლებიც თბილისში იყვნენ იმის გამო, რომ აქ გაიხსნა გამოფენა „გამოკვლევები და ნამუშევრები ამერიკის შეერთებულ შტატებში“, 25 იანვარს ეწვივნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შალვა კიკნაძეს.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ ისეთი გამოფენები, როგორიც არის საბჭოთა გამოფენა „სსრ კავშირის რესპუბლიკების ხალხური შემოქმედება“, რომელიც ეხლა ექსპონირებულია გაშინგტონში, და ამერიკის გამოფენა თბილისში, ხელს უწყობენ შემოქმედებითს ურთიერთობას, მიღწევათა გაზიარებას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, ხალხთა შორის უკეთეს ურთიერთგაგებას.

საუბარს დაესწრნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქელაძე, საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რაფიელ ელიაშვილი, საქართველოს დეპუტატთა საბჭოს დირექტორი ვლადიმერ ჭიაურელი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კეშელავა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თენგიზ გორდელაძე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ვალენტინ კამენევი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ჰამლეტ ჭიპაშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში ჯეიკობ ბიმი და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ფრენკ შექსპირი 25 იანვარს ეწვივნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შოთა ბუხრაშვილს.

25 იანვარს სტუმრები მოსკოვს გაემგზავრნენ.

გაიხსნა მხატვრის სახლ-მუზეუმი

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში თბილისში, წულუკიძის ქუჩაზე მდებარე სახლში გაიხსნა მხატვრის სახლ-მუზეუმი, რომლის დირექტორი და ორგანიზატორია მხატვრის ასული, საქართველოს სახალხო არტისტი ალექსანდრა თოიძე. მუზეუმი ხუთ ოთახშია მოთავსებული. ერთ ოთახში გამოფენილია ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი ბევრი მხატვარი, დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი, მოვიდა სახლ-მუზეუმში, რათა პატივი ეცა მასწავლებლისა და მოჭალაქის ნათელი ხსოვნისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა გახსნა საზეიმო მიტინგი. მრავალი გულითადი სიტყვა მიუძღვნეს თავიანთ მასწავლებელსა და აღმზრდელს საქართველოს სახალხო მხატვარმა კორნელი სანაძემ და საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა აპოლონ ქუთათელაძემ. მხატვრის ვაჟმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ირაკლი თოიძემ სპეციალური სტენდი მიუძღვნა მხატვრის მეგობრულ ურთიერთობას ვაჟა-ფშაველასთან. ერთ-ერთ ოთახში თავმოყრილია მხატვრის სტატიები, რეცენზიები, მონოგრაფიები, მასალები მხატვრის შესახებ.

მოსე თოიძე და ილია რეპინი

...ამჯერად ჩემი მიზანი არ არის აღვწერო მოსე თოიძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. მე მხოლოდ ქართველი შემოქმედის დიდ რუს მხატვარ ილია რეპინთან ურთიერთობის ამბავს მოგითხრობთ.

...პირველი სიტყვა, რომელიც რეპინს აღმოხდა ჭაბუკ თოიძესთან შეხვედრისას, იყო — „ბრავო“. ეს აღფრთოვანება გამოიწვია ნიმუშად მიტანილმა მცირე ეტიუდმა. ამას ზედ მოჰყვა შეკითხვა: „თბილისში სამხატვრო სკოლა თუ არის?“ როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, რეპინი დაფიქრდა და სინანული გამოთქვა.

რეპინმა თოიძე დაუყოვნებლივ მიაღებინა თავის ჯგუფში, სადაც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები — „სამოროდკები“ — ირიცხებოდნენ. ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ „ჰავკაზის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ილია რეპინის წერილი: „საჭიროა თუ არა თბილისში სამხატვრო სკოლა?“, რომელშიც გულისტკივილით აღნიშნავს: „საწყალი სამხრეთელები... ბევრი გამოკრთა ჩემს თვალწინ ლამაზი, მოხდენილი ტანის, ფერმკრთალი სახის, დახვეწილი პროფილით, მომხიბლავი შავი თვალებით, რომლებშიც გამოსჭვიოდა ღრმა მელანქოლიით სავსე გენია... ...მჯერა, რომ საქართველოს მხატვრობის დრო მოვა! ეს ულამაზესი, უმშვენიერესი ქვეყანა მოუვიდეს თავის შესაფერ მხატვრებს, რომლებიც თავიანთ ხელოვნებაში გამოხატავენ სამშობლოს“.

დიდი რეპინის ეს სიტყვები ჭეშმარიტად წინასწარმეტყველურია, რადგან დღეს საქართველოს მხატვრების დრო დადგა!..

ყრმა მოსესთან შეხვედრამ დიდ მხატვარს შთააგონა ძალზე დროული და მეტად საჭირო აზრის გამოთქმა: „დაე, ყოველმა მხარემ გამოიმუშაოს თავისი სტილი და გამოხატოს საყვარელი იდეალი ხელოვნებაში, თავისებურად, დამაჯერებლად და გულწრფელად ყოველგვარი მიმბაძველობის გარეშე!... თბილისში აუცილებლად საჭიროა დაარსდეს სამხატვრო ოაზისი!“

დიახ, პირველად დიდმა რეპინმა დააყენა თბილისში სამხატვრო სასწავლებლის დაარსების საკითხი.

რეპინმა თოიძე განსაკუთრებით დაიახლოვა და მატერიალურადაც ეხმარებოდა. ამ მიზნით თავისი სურათების პირებს აკეთებინებდა, თან ხატავდა კიდეც.

მაგრამ რეპინის განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული თოიძისადმი გამოწვეული იყო უპირველესად ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ტალანტით და აკადემიაში მისი წარჩინებული სწავლით; ამიტომ იყო, რომ რეპინი მოსე თოიძეს პედაგოგიურ გზასაც კი ულოცავდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ი. ტოლსტოისადმი მიწერილ რეკომენდაციაში: „თოიძეს მე ვთვლი დიდი ტალანტის მქონე მხატვრად, მას შეუძლია ასწავლოს მთელი სულითა და გულით“...

საქართველოში ცხოვრების პერიოდშიც რეპინი ყოველთვის მხარში ედგა თოიძეს, რადგან მასში ხედავდა „თავისი ქვეყნის საუკეთესო შვილს, რომელსაც სწამდა სამშობლოს შვილთესი მომავალი“.

ალექსანდრა მაჭავარიანი

ხალხის სიმღიდრე

ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲣᲬᲝᲓᲔᲡ ადამიანებმა გორის რაიონის სოფელ **მეჯვრისხევსა** და თეთრი წყაროს რაიონის სოფელ **კოდაში** აშენებულ მეფრინველეობის უზარმაზარ ფაბრიკებს. ორივე ფაბრიკა ეხლახან გაიხსნა და დიდებული ზეიმი იყო გორსა და თეთრ წყაროში. საზეიმო განწყობილებას აორკეცებდა ის გარემოებაც, რომ ფაბრიკების გახსნას ესწრებოდნენ ადამიანები, რომელთა უშუალო მონდომებითა და მცდელობით აშენდა ფაბრიკა-გიგანტები ვადაზე ადრე. აქ იყვნენ რესპუბლიკის თავკაცები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბიძი ჯავახიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ალბერტ ჩურკინი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შოთა ბანუაძე**. ზეიმს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრი **სტეფანე ხიტროვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე **ნიკოლოზ რუდენკო**. აქ იყვნენ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ამ ღირსშესანიშნავ ზეიმზე **ვასილ მჟავანაძემ** თქვა: ორივე ფაბრიკა-გიგანტი ვადაზე ადრე აშენდა და საამისოდ მძლავრი სტიმული იყო ჭეშმარიტად შემოქმედებითი შეჯიბრება მეჯვრისხეველებსა და კოდელებს შორისო. რესპუბლიკის თავკაცმა მშენებლებსა და მეფრინველეებს უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

მეჯვრისხევი

აქ, დღევანდელი ზეიმის ადგილზე შიშველი ველი იყო... ხაშვილიშვილო საქმეს თბილისის „გვირაბმშენის“ სამმართველოს მშენებლებმა ჩაუყარეს საძირკველი და რაკი სახალხო საქმე კეთდებოდა, ყველამ თავისი აგური დადო მშენებლობაზე, რაც ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ძმური თანამშრომლობის ნათელი დადასტურება იყო. გორელებმა მშენებლობა სახალხო საქმედ გამოაცხადეს და თავი არავინ შეირცხვინა: გულმოდგინედ და ხელმარჯვედ შრომობდნენ მეჯვრისხევისა და ზეღდულეთის, ნიქოზისა და სკრის, შავშვებისა და ქიწნისის მაშვრალნი...

გავიდა მხოლოდ ორი წელიწადი...

შიშველ ველზე ფაბრიკა-ქალაქი გაიშალა. გახედავთ გრძელ საამქროებს, საქვაბის ცადატყორცნილ მილსა და საცხოვრებელ კორპუსებს, კულტურის სახლსა და სხვა ნაგებობებს, გახედავთ და არ შეიძლება არ აღფრთოვანდეთ.

საარაკოდ შრომობდნენ გვირაბმშენებლები ვიქტორ გოცირიძის მეთაურობით, მათ მხარში ედგნენ № 13 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები. მარტო ამ სამმართველომ 402 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა, ასფალტი 66.000 კვადრატულ მეტრზე დაიგო, 68 ადგილას გაკეთდა მცირე ხიდები.

შარშანდელი 11 ივლისი ღირსსახსოვარი თარიღია მშენებლოთათვის. ამ დღეს მიტინგზე სპეციალისტებმა და მუშებმა გადაწყვიტეს მშენებლობა ოთხი წლის ნაცვლად ორ წელიწადში დაემთავრებინათ და სიტყვა საქმედ აქციეს კიდეც. საგულდაგულოდ გამართული გზის ერთ მხარეს ფაბრიკა-გიგანტს გაუშლია მხრები, ჩარიგებულა სამოცდაჩვიდმეტი დიდი ნაგებობა, საწარმოო ზონა გაშლილა.

გზის მეორე მხარეს კი წამოჭიმულა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ორმოცდაორი მკვიდრად ნაგები შენობა. ორი დიდი სახლი, თითოეული ოცდათორმეტბინიანი. და კიდევ მრავალი სახლი ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი ბინებით...

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... ისე, იცოდე, ძვირფასო მკითხველო, რომ თითოეულ ადამიანს, რომელიც მეფრინველეობის ფაბრიკაში იმუშავებს, ექნება კარგი ბინა, მაღაზიები, კულტურის სახლი, მისი შვილები ივლიან კოპწია საბავშვო ბაღში.

ფაბრიკა-გიგანტში კი...

მოაზღვავებენ კვერცხებს, გაივლის 21 დღე და იქიდან გამოჩეკილი წიწილებით ახმაურდებიან გრძელი და ნათელი, სამასმეტრიანი ტექნიკით აღჭურვილი საამქროები. მერე მოზარდ ფრინველს აკლიმატიზატორებში გადაიყვანენ, აქედან სხვა საამქროებში, ბოლოს ისევ კვერცხმდებ ფრინველს გადაარჩევენ და მანქანური წარმოების საამქროებში წელიწადში ათეული მილიონობით კვერცხს მიიღებენ. მეჯვრისხევიდან საქართველოს მშრომელებს უხვად ექნებათ ქათმის ხორცი და კვერცხი. ციფრები ხომ თვითონვე მეტყველებენ: მეფრინველეობის ფაბრიკის ოთხ საბატარიო საამქროში 200.000 წიწილა დაეტევა. 10 აკლიმატიზატორში ერთდროულად ეყოლებათ 120.000 ფრთა მოზარდი ქათამი. 8 კვერცხმდებ საამქროში 200.000 ქათამი მოთავსდება. მეფრინველეობის ფაბრიკა წელიწადში მშრომელებს მიაწვდის 42 მილიონ კვერცხსა და 800 ტონა ხორცს.

კოდა

აქაურობაც პატარა ქალაქსა ჰგავს, მკვიდრად ნაგებსა და კეთილად მოვლილს. კოდაში აშენდა მეორე ფაბრიკა-გიგანტი მეფრინველეობისა, რომელიც მხოლოდ 1972 წლის დამლევისათვის უნდა დამთავრებულიყო.

ვადაზე ადრეო! — თქვეს თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა, დადეს პირობა საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტისა და კოდის მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლებმა. თითოეული მუშის, ტექნიკოსის და ინჟინრის მიზანი იყო მშენებლობის დაჩქარება და გაიაფება, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება. ყველაზე დიდმნიშვნელოვანი გახლდათ წინადადება იმის შესახებ, რომ საფრინველეთა კედლები აგურის ნაცვლად დიდი, მსუბუქწონიანი პანელებით აეგოთ. ამ წინადადების დანერგვის შემდეგ შვიდი მემონტაჟესაგან შედგარი ბრიგადა საფრინველეებს ორ კვირაში აწყობდა, მანამდე კი 20 კალატოზს 30-40 დღეში აჰყავდა ერთი საფრინველის კედლები.

სიბეჯითემ და მშენებლობაში სიახლემ თავისი გაიტანა. ორწელიწადნახევარში აიგო ათობით საფრინველე, საინკუბატორო და საქვაბის შენობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, გაიყვანეს მოასფალტებული გზები, დარგეს 28 ათასი მარადმწვანე მცენარე...

კოდა მეფრინველეთა ქალაქად იქცა. წელიწადში მეხორცეული ჯიშის ორი მილიონი ფრინველი, სულ კი ერთდროულად 600 ათასი ფრთა ფრინველი — ეს კოდელ მშრომელთა დევიზია და გვჯერა: რაკი სიტყვა მეფრინველეებზეა, ისინი საქმითაც დაამტკიცებენ ერის ერთგულებას, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი ფრინველის ხორცი და კვერცხი ჰქონდეთ საქართველოს მშრომელებს.

ფაბრიკას ძირითადად საშუალო განათლების ახალგაზრდები სჭირდება. ჭაბუკები და ქალიშვილები გაივლიან სათანადო მოკლევადიან კურსებს და შემდეგ იმუშავებენ თანამედროვე, ავტომატური მანქანებით აღჭურვილ საამქროებში.

თეთრი წყაროს რაიონის ახალგაზრდობას ელის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის საამქროები, სადაც სახალისო და საამაყო მუშაობა, სადაც ექნებათ შესანიშნავი პირობები ენერგიული შრომისათვის, კულტურული ცხოვრებისა და დასვენებისათვის.

და რაკი კოდის მეფრინველეობის ფაბრიკა უკვე ამუშავდა, ეხლა ფაბრიკის მაშვრალთა ცხოვრებაში იწყება საწყისი ეტაპი — წიწილების გამოყვანა. ერთი თვის წინათ აქ ლატვიიდან შემოზიდეს 60 ათასი ცალი კვერცხი ინკუბატორში ჩასაწყობად. კიდევ შემოიტანენ ორ მილიონ კვერცხს. წიწილები რომ გამოიჩეკებიან, მათ სპეციალური დახურული მანქანებით გადაიყვანენ გასაზრდელ საამქროებში, შემდეგ კი საფრინველეებში.

ტექნოლოგია ისეა გათვალისწინებული, რომ წლეულს აგვისტოსათვის კოდის მეფრინველეობის ფაბრიკას უკვე დიდი რაოდენობით ექნება საკუთარი წარმოების კვერცხი.


სწორი ტექნოლოგია კი მოითხოვს, რომ სადედე გუნდი ფაბრიკაში შეიცვალოს 14-15 თვის განმავლობაში ერთხელ. ამისთვის საჭიროა სარეპროდუქტორო მეურნეობა, რომელიც უკვე შენდება მცხეთის რაიონში და წლეულს დამთავრდება. ამ მეურნეობაში პირველ ხანს მოშენდება 25 ათასი ფრთა მეხორცული ფრინველი, ხოლო შემდგომ ეტაპზე — 50 ათასი. ეს კი სრულად დააკმაყოფილებს კოდის ფაბრიკა-გიგანტის მოთხოვნილებას.

მეორე ათასეული ქათმიდან თითოეული ოთხ კილოგრამზე მეტ ხორცს მოგვცემს. თუმცა გათვალისწინებულია, რომ ქათამი 60-70 დღის ასაკში დაიკლას. სპეციალისტების აზრით, სწორედ მაშინ თითოეული ქათმის წონა 1.200-1.400 გრამს მიაღწევს და ხორცი საუკეთესო ხარისხისა ექნება. კოდის მეფრინველეობის ფაბრიკა წელიწადში ორ მილიონ ქათამს გაზრდის.

წლეულს ფაბრიკა დედაქალაქის მშრომელებს მიაწვდის 800 ტონა ქათმის ხორცს, ხოლო შემდეგ წლებში — 2.500-3.500 ტონას.

ბარაქალა თქვენს შრომას, მეჯვრისხეველებო და კოდელებო!

ჯემალ ქურხული



კოდის მეფრინველეობის ახალი ფაბრიკა

გოგი გოგოხიას ფოტო

ნინო ნაკაშიძე

საუკუნე შემოტრიალდა იმ დღიდან, როცა საქართველოს ულამაზეს კუთხეში, გურიის სოფელ ბახვში იოსებ ანთაძის ოჯახს ახალი შეეძინა, ხოლო მამულს — კიდევ ერთი სიკეთით დაუცხრომელი გული...

ნინო ნაკაშიძემ ძალზე ახალგაზრდამ მოჰკიდა კალამს ხელი. შეიქმნა პირველი მოთხრობები: „ძიძა“, „საახალწლო სურათი“, „გურიის სოფელში“, დრამა — — „ვინ არის დამნაშავე“. ამ ნაწარმოებებმა მწერალს საყოველთაო აღიარება მოუპოვა. მწერალმა გულზე ამოიკვეთა დიდი ილიას ნათქვამი: „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა“...

მწერალი ამ დიდმა მამულიშვილურმა ფიქრმა და სურვილმა იმდროინდელ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულში“ მიიყვანა და ამ ჟურნალის დედასთან, მარიამ დემურიასთან ერთად იღვწოდა.

მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ, 1910 წლიდან ნინო ნაკაშიძე ჩაუდგა ჟურნალს სათავეში და იმ დღიდან მოყოლებული ძალ-ღონის დაუზოგავად დაჰკანკალებდა ეროვნული საბავშვო მწერლობის შექმნისა და გამდიდრების საქმეს.

ნინო ნაკაშიძე არის საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ერთერთი ფუძემდებელი. 1925 წელს მისი აქტიური მონაწილეობით გამოდის საბჭოთა საქართველოს პირველი საბავშვო ჟურნალი „წითელი სხივი“ (ამჟამად „პიონერი“). ახალმა ცხოვრებამ მწერალი კიდევ მეტი ხალისით აავსო და მის შემოქმედებაში გაჩნდნენ ახალი გმირები — საბჭოთა საქართველოს ბავშვები...

მდიდარია ნინო ნაკაშიძის საყმაწვილო წიგნები ფერებით, გრძნობებით, ძარღვიანი ქართულით. მისი წიგნები ამშვენებენ ჩვენი ბავშვების წიგნის თაროს და პატარები ყოველთვის სიამოვნებით კითხულობენ ზღაპრებს: „ულუ და თეთ“, „მახობელა“, მოთხრობებს: „ჩვენ დავიკარგეთ“, „ზურიკო და პაპა“, „არიშკა“, „ამაყი ყვავილი“, „ბოჩოლა“.

ეს ნაწარმოებები დედის კალთაზე საკითხავი მოთხრობებია, რომლებიც ახალგაზრდა მშობელს ხელს უწყობენ დიდი სიფაქიზით ჩანერგოს თავის პატარა შვილში კაცთმოყვარეობის თვისებები.

საქართველოს მწერალთა სასახლეში 18 იანვარს მოეწყო ნინო ნაკაშიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, პოეტმა **გრიგოლ აბაშიძემ**. მოხსენება წაიკითხა მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის თავმჯდომარემ პოეტმა **ხუტა ბერულავამ**. მოგონებით გამოვიდნენ მწერლები, მეცნიერები, ნინო ნაკაშიძის შემოქმედების თაყვანისმცემლები.

ნინო ნაკაშიძის სახელი საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში გადავიდა, რასაც ესოდენ გულმოდგინედ ჰპატრონობს ქართველი ერი.

ქეთევან ჭილაშვილი.

საპატიო ხილი

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის ჩვენი რესპუბლიკა დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლებით და ჯილდოებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების 30 ნოვატორი, ვერცხლით—122 და ბრინჯაოს მედლით — 450 კაცი.

პუბლიკა, ხელვაჩაურისა და ზუგდიდის რაიონები.

დიპლომებით დაჯილდოვდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლებით დაჯილდოებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების 30 ნოვატორი, ვერცხლით—122 და ბრინჯაოს მედლით — 450 კაცი.

სტუმრად ჩეხოსლოვაკიაში

მგზავრობა უდევთ გზად დიდად საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. ამას წინათ საქართველოში პირველად ჩამოვიდნენ ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენი სტუდენტები. მათ მასპინძლობდნენ მომავალი ინჟინრები. გაიმართა სპორტული შეხვედრები, სტუმრები გაეცნენ ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, თბილისელ ახალგაზრდობას.

ნოემბერში კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა და თვითმოქმედი კოლექტივების დიდი ჯგუფი საპასუხო ვიზიტით ეწვია ჩეხოსლოვაკიას. ჩასვლისთანავე მათ პრაღისა და ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. გაიმართა მეგობრული საღამოები, სპორტსმენები ერთურთს შეეჯიბრენ, თვითმოქმედი კოლექტივის წევრებმა კი თავიანთი ხელოვნებით მოხიბლეს მასპინძლები; აღსანიშნავია სტუდენტთა ქალაქ სტრაჰოვში გამართული კონცერტი, რომელსაც ჩეხი სტუდენტების გარდა, აქ მყოფი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

ჩვენი უნივერსიტეტი



წელიწადი დამთავრდა, წელიწადი დაიწყო. ყველა ადამიანმა თუ დაწესებულებამ შეაჯამა თავისი საქმიანობა ერთი წლის მანძილზე და ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შეუდგა ახალი გეგმების განხორციელებას.

ქართველი ბალხის სიამაყის — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შარშანდელი 1971 წელი წარმატებიანი იყო. ამ წლის ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 1970 წლის 29 დეკემბერს სპეციალურად განიხილა და დაამტკიცა თბილისის უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობის გენერალური გეგმა. ეს ამბავი გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებისათვის უკვე ცნობილია. ამ გეგმის რეალური განხორციელება პრაქტიკულად უკვე 1971 წლის დამდეგს დაიწყო. თბილისის დასავლეთ განაპირას, ვაკე-საბურთალოს მიჯნაზე, იქ, სადაც უკვე აღმართულია უნივერსიტეტის ლამაზი, თანამედროვე არქიტექტურის 12-სართულიანი კორპუსი, გაშალა დიდი სამუშაოები.

ახალი კომპლექსის ერთერთი ყველაზე დიდი ობიექტის — ახალი სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა შარშან 2 მარტს დაიწყო. შემთხვევითი, მაგრამ სიმბოლური დამთხვევა იყო ის ამბავი, რომ ექსკავატორის პირველი ნიჩაბი ქვაბულის ამოსაღებად თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის მოგვარემ — მეექსკავატორე ფარნაოზ ჯავახიშვილმა დაჭრა.

შარშან ინტენსიური სამუშაოები სრულდებოდა ბირთვული ფიზიკისა და ფოტოსინთეზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შენობათა ასაგებად, რომლებიც ძირითადად დასრულებულია და მწყობრში დგება.

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში წარმოუდგენელია სერიოზული სამეცნიერო კვლევის წარმოება და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სწრაფმოქმედი მათემატიკური მანქანების გარეშე. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივისათვის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ახალი უნიკალური „ბესმ-6“ ტიპის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ამუშავება. ამით უნივერსიტეტში ფაქტიურად პირველ ეტაპზე შევსებულია სწრაფმოქმედი მანქანების პარკი და შექმნილია შესაფერისი პირობები მეცნიერების თანამედროვე დარგებში სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგას 1972 წელს უნივერსიტეტის კოლექტივის წინაშე, კიდევ უფრო სერიოზული მიზნებისა და კეთილი იმედების უნდა იყოს 1972 წელი. ისე, როგორც ყველგან საბჭოთა ქვეყანაში, თბილისის უნივერსიტეტშიც დიდი მუშაობა უნდა გაიშალოს მეცხრე ხუთწლედის პერსპექტივების განსახორციელებლად.

სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან ერთად, რაც გულისხმობს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ასახვას სასწავლო გეგმებში, სწავლებისას ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენებას, მაღალი კურსების სტუდენტობის მაქსიმალურ ჩაბმას კათედრებისა და ლაბორატორიების კვლევით შუშაობაში და სხვა, კვლავ დიდი ყურადღება მიექცევა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას.

გაფართოვდება სამეცნიერო ბიბლიოთეკის მშენებლობა და დაიწყება ბიოლოგიისა და ქიმიის ახალი კორპუსის აგება. უნდა დამთავრდეს ახალი საოქტო დარბაზის მშენებლობა უნივერსიტეტის თეთრ, ცხვედაძისეულ შენობასთან.

ჩვენი სტუდენტები მიიღებენ აგრეთვე საერთო საცხოვრებლების ორ ახალ კორპუსს უნივერსიტეტის კომპლექსის ტერიტორიაზე, სადაც მათთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი დასვენებისა და მუშაობისათვის.

ჩვენს ეროვნულ უნივერსიტეტში, სადაც სწავლება ყველა ფაკულტეტზე ქართულ ენაზეა, ქართველ ახალგაზრდობასთან ერთად ბევრი სხვა ერის წარმომადგენელიც მეცადინეობს. უკვე აღარავის უკვირს, როცა უნივერსიტეტის წითელ დერეფნებსა და აუდიტორიებში შეგხვდებათ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ეგვიპტის, ვიეტნამისა თუ სხვა ქვეყნის წარმოგზავნილნი, რომლებიც თავიანთ ქართველ მეგობრებთან ერთად სტუდენტის თუ ასპირანტის სახელს ატარებენ.

უნივერსიტეტის მთელი კოლექტივისათვის სასიამოვნო ფაქტია, რომ ბოლო წლებში საზღვარგარეთ მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმაც მოავლინეს თავიანთი ახალგაზრდები თბილისის უნივერსიტეტში. სულ ეხლახან სირიაში დაბრუნდა ელისაბედ სალარაძე, რომელიც დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლობდა. ინგლისიდან ჩამოსული თამარ დრაგაძე ქართული ეთნოგრაფიის მასალებს იკვლევს თავისი სადისერტაციო ნაშრომისათვის. იმედია, მომავალში საზღვარგარეთიდან ჩამოსული ქართველი ახალგაზრდების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება თბილისის უნივერსიტეტში, რომლის კარიც მათთვის ყოველუამს ღიაა.

ლევან გედევანიშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პერსპექტიული განვითარების დარგში, დოცენტი.

ინტერვიუ უნივერსიტეტის და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორესთან



● ცოტა რამ თქვენი ბიოგრაფიიდან.

— 1896 წელს დავიბადე გორის მაზრაში, სოფელ დოესში. გორის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის შემდეგ, სწავლა განვაგრძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის განხრით. უნივერსიტეტი 1923 წელს დავამთავრე, პირველი გამომშვება ვიყავით.

მაქვს მონიჭებული ღვთისმეტყველების დოქტორობა ლენინგრადის სასულიერო აკადემიის საბჭოს მიერ.

ჩემი პიროვნების, ჩემი შეხედულებების ჩამოყალიბება-განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით უნივერსიტეტის მოძღვართ-მოძღვრებს: ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, დიმიტრი უზნაძეს, გიგო ნათაძეს, გიორგი ახვლედიანს და სხვებს.

1944 წლიდან ვიყავი ქუთაისის მიტროპოლიტი, 1952 წლიდან — მიტროპოლიტი ბათუმჭყონდიდელი. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად კი ამირჩიეს 1960 წელს.

● რა არის ყველაზე სასარგებლო და საპატიო ამ ქვეყნად?

— ეს არის მშვიდობა. თუ დაირღვა იგი, ერთ წუთს განადგურდება ყველა და ყოველი, რაც საუკუნეობით შეუქმნია ადამიანს.

● ყველაზე ბეშმარიტ გრძნობად რას ჩათვლიდით?

— სიყვარულს. სხვა კეთილ სათნოთა საქმეთა შორის სიყვარული არის ყველაზე მსხვილი მარგალიტი.

● რა მიგაჩნიათ ამქვეყნიურ მაღალ საკურთხევლად?

— სამშობლოს სიყვარული. ბევრი ლაპარაკი არ მინდა, ყველას ვეტყვი პირში — იქამდინ რომ თავს დავდებ მის საკურთხეველზე.

● საერო მწერლობიდან რომელი ნაწარმოებია თქვენთვის სასურველი, ქართველ მგოსნებში ვის ესახოებით?

— ილიასა და ვაჟას. რუსთაველი დიდია და მიუვალი! თანამედროვეობიდან — ირაკლი აბაშიძეს მისი რჩეული კრებულისათვის „პალესტინა, პალესტინა“.

● ვაჟა ამბობს, ქალს შეუძლია ერი ააღორძინოს და ერი დაამხოსო. ხომ არ გაგვიმარტავდით მგოსნის ამ სიტყვებს?

— სწორი უბრძანებია. ქალი არის წყარო მომავალი თაობისა და თუ მომავალი ცუდი გვეყოლება, თავისთავად წამხდარია ერის საქმე.

● დიდ მოკრძალებას და სიყვარულს დედისადმი საფუძვლად რა უდევს?

— სისხლი და ხორცი და ის, რომ გამობრწყინებულნი ვართ დედის წიაღიდან.

● უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს შეხვედრიხართ თუ არა?

— 1961 წელი. პარიზში ვიმყოფები და ვხედავ ქართველებს, როგორც დაკარგულ შვილებს, ხელახლა ნაპოვნს, ისე შეყვარდი, ცრემლი ვერ დავმალე. თვითონაც გრძნობიერად მიპასუხეს. ზოგმა მუხლიც კი დაიდგინა, ისე შემომეხვია.

● თავის მიწის მადლს განსაკუთრებით როდის გაიგებს ქართველი კაცი?

— როდესაც კაცი შორდება თავის მამულს, თავის მოყვასს, მას გული არასოდეს აღარ უცინის. გულში წვეთ-წვეთ ეღვრება ცრემლი, მამულის სიყვარულით გამოწვეული.

● უცხოეთში მყოფმა ქართველებმა რით გაამართლონ თავიანთი ქართველობა?

— ჯერ ერთი, რომ კარგად, წესიერად, ზნეობრივად მოიქცნენ და ყველას დაანახონ სახე ქართველი კაცისა. მერმე, სამშობლოს სიყვარული არ დაივიწყონ, შვილებს გადასცენ, ქართული ენა ასწავლონ და მარადჟამ პირი და გული ჰქონდეთ სამშობლოსაკენ...

● როგორ წარმოგიდგებათ კაცი, რომელიც უამთა სვლით უცხოეთს გადაბარებული საქართველოს კარიბჭეს უახლოვდება?

— გზასაცდენილი სწორ გზაზე გამოსული, ფეხზე დამდგარი.

საქართველო კი, როგორც ღირსეული დედა, ისე მიეგებება შორს წასულ შვილებს, ტკივილს უწამლებს, ცრემლს შეუშრობს თავის ნაშიერს.

● რაიმე სურვილს ხომ არ გამოთქვამდით ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან?

— გაუმარჯოს მშვიდობას, დღეგრძელი ყოფილიყოს საქართველო უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

● რას უსურვებდით ჩვენს თანამემამულეებს?

საზღვარგარეთ სხვადასხვა კუთხეში მყოფნო ძვირფასო შვილებო!

საქართველოს კლასიის სახელით სულითა და გულით გილოცავთ 1972 წელს. გულითადად მსურს გისურვოთ, თქვენში არ ჩამქრალიყოს სამშობლოს სიყვარული, რომლიდანაც თქვენ სხვადასხვა მიზეზებისა გამო მოხვდით სხვადასხვა კუთხეში დროებით თუ სამუდამოდ ცხოვრებად.

პირადად მე ღრმადა მწამს, რომ სამშობლოს და მისი სიყვარულის გარეშე ბედნიერი ცხოვრება არ არსებობს. მის გარეშე მყოფთ რა მოგილოცოთ? თვალცრემლიანი ამასღა გეტყვით: — დაე სახატედ იყვეს თქვენი გული და ხატად სამშობლო — საქართველო!

საუბარი ჩაიწერა
ნაზი შამანაურმა

ჯიმ თაზველა, თოვლიანზველა...

ვისაც თოვლი, მზე და თხილამურები უყვარს, ალბათ, გაგებული ექნება, რომ საქართველოს ცადატყორცნილ მთებში არის ერთი პატარა სოფელი **ბაკურიანი**, რომ ამ სოფლის მთა, ველი, ხევი თავისი სილამაზის შესაფერ სახელს ატარებს. ერთს „კოხტა გორა“ ჰქვია, მეორეს — „მზის ველი“, მესამეს — კი „მზის სხივი“...

მაგრამ აქ განა მარტო ბუნების სილამაზეს აამებს კაცის თვალსა და გულს? განა მჭრტო მზისა და თოვლის სიუხვემ გაუთქვა სახელი თრიალეთის მთებში აზიდულ სოფელს? — სტუმარი ღვთისაა, სწორედ ბაკურიანელ ზედგენიძეებს, მიქაბერიძეებს, წაქაძეებს, გელაშვილებს, კოზანაშვილებსა თუ ბუძიშვილებს უთქვამთ — სოფელში 5 ათასი კაცი ცხოვრობს, დასასვენებლად კი აქ ერთდროულად 40-50 ათასი კაცი ამოდის.

სამი დღე ვიყავი ბაკურიანში. იანვრის სუსხმა ყურები ამიწითლა, მზემ გული გამითბო. ვნახე, როგორ გადახტა 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ყველაზე შორს „მფრინავი ტორპედო“ კობა წაქაძე, როგორ სრიალებდნენ კოხტა გორის ფერდობზე მზით გარუჯული სპორტსმენები, ვიხილე, როგორი თავდადებული შრომა სცოდნიათ ამ საქვეყნოდ ცნობილი კურორტის მკვიდრთ, და ეხლა, როცა ნანახისა და განცდილის მოყოლის დრო დადგა, ვშიშობ, ვაითუ ყველაფერი ისე ქარგად ვერა ვთქვა, როგორც გულში ჩამრჩა, მაგრამ თავს ვიმხნევებ, საქვეყნოდ სახელგანთქმული დასტაქრისა და მთამსვლელის პროფესორ ლევ უსპენსკის სიტყვებით, რომელმაც შეკითხვაზე — როგორ მოგწონთ ბაკურიანი? — მიპასუხა: „აქაურობის სრულყოფილად აღწერა შეუძლებლად მიმაჩნია. თუ გინდა, ბაკურიანის სილამაზე მართლაც შეიგრძნო, იგი საკუთარი თვალით უნდა ნახო“.

გზა არის, თუ მოქნეული მათრახია!..

მასპინძელი — ბაკურიანის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა ორჯონიკიძე — ბორჯომში შემოგვხვდა. გვირჩია, ბაკურიანში მანქანით ავიდეთ, მატარებელს დიდი დრო სჭირდებაო. შორს დავიჭირეთ, მეტრიან თოვლში გზის გაკვლევამ დაგვაფიქრა. დაგვამშვიდა — გზა ჩინებულად გვაქვს მოვლილი, 50 წუთში ბაკურიანში ვიქნებითო. დავყევით მასპინძლის ნებას — ერთ საათში უნდა დაწყებულიყო ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშება ტრამპლინიდან ხტომაში...

მანქანა სწრაფად მიჰყვება მთებში ახვეულ გზას. გამახსენდა ბავშვობაში წაკითხული სტრიქონები — „გზა არის, თუ მოქნეული მათრახია“...

თოვლით დახუნძლულ ნაძვებსა და ფიჭვებს ტოტები ძირს დაუხრიათ. ბარდნის, მაგრამ მზე მაინც ახერხებს დროდადრო ღრუბლებიდან გამოხედვას.

უკან დაგვრჩა დაბა, წაღვერი... ბაკურიანში მართლაც 50 წუთში ავედით.

ჰაერშია კობა წაქაძე!

ჰაერშია კობა წაქაძე! — აცხადებს დიქტორი და ათასობით მაყურებელი სულგანაბული შესცქერის 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ცაში გატყორცნილი ბაკურიანელი ვაუკაცის ფრენას. გამოუცდელი თვალითაც ვხვდებით, რომ კობა ყველაზე უკეთ და ყველაზე შორს გადახტა. 38 წლის მარად ჭაბუკმა კობამ დღეს მესამედ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის თასი ტრამპლინიდან ხტომაში...

როგორც ყველა ბაკურიანელს, არც კობას ახსოვს, როდის დადგა პირველად თხილამურებზე. ჩვეულებრივი ბავშვობა — სკოლა, წიგნები, შრომა უფროსების მხარდამხარ და, რაღა თქმა უნდა, კოხტა გორაზე თხილამურებით თავბრუდამხვევი სრიალი.

სპორტულმა სამყარომ კობა წაქაძე 1953 წელს გაიცნო, როცა ჩვენი ქვეყნის სოფლის ახალგაზრდებს შორის ჩემპიონობა მოიპოვა. მას აქეთ კობა ჩვენი ქვეყნის „მფრინავ მოთხილამურეთა“ ნაკრების უცვლელი წევრია, ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებისაგან მან პირველმა მოიპოვა გამარჯვება „ოთხი ტრამპლინის“ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ქართველი სპორტსმენის გაბედულ ფრენას ტაშს უკრავდნენ და უკრავენ მრავალ ქვეყანაში და აკი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს „მფრინავ მოთხილამურედ“ აღიარეს. საზღვარგარეთის პრესაში მსოფლიოს ყველა დროის ტრამპლინიდან საუკეთესო მხტომელთა სია რომ გამოქვეყნდა, წაქაძე მეშვიდე ნომრად დაასახელეს. საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, წლეულს მეოთხედ მონაწილეობს ზამთრის ოლიმპიურ ახპარეზობებში.

ბაკურიანში მოპოვებულ გამარჯვებას რომ ვულოცავდი და საპოროშიც ოქროს მედლის მოპოვება ვუსურვე, გამიღიმა და მიპასუხა — დიდი სპორტიდან ლამაზად წასვლის სურვილი რომ არა, წლეულს შეიძლება თხილამურებზე აღარც დავმდგარიყავიო.

— ყურადღება, ჰაერშია კობა წაქაძე! — გამოაცხადებს მალე იაპონელი დიქტორი საპოროში, თან ქართველი სპორტსმენის სიძლიერის დასადასტურებლად იტყვის — ამ კაცს საბჭოთა სპორტსმენთა შორის ყველაზე შორს ხტომის რეკორდი ეკუთვნის, 1967 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ შეჯიბრზე „მფრინავ ტორპედოდ“ წოდებული წაქაძე 142 მეტრზე გადახტაო...

დიქტორის ამ სიტყვებს ჩვენი სურვილიც დაედევნება — კვლავაც ყველაზე შორს გეფრინოს, კობა!

მასპინძელი მასპინძლობს...

ასპარეზობა დამთავრდა, ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკისაკენ გავწიეთ. „მზიური ველი“, როგორც ეს ბანაკი იწოდება და რომელიც ერთდროულად 220 კაცს იტევს. საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმების გასამართი ადგილია. იმ დღეს კი „მზიური ველი“ ოლიმპიელთა განკარგულებაში იყო. კობამ და მისმა მეგობრებმა ფიცი დადეს, რომ მაღლა ატარებენ საბჭოთა სპორტსმენის ღირსებას. იმ საზეიმო შეკრებაზე კობა წაქაძეს მთავრობის ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი — გადაეცა...







მეორე დღეს ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ბაკურიანის ტურისტულ ბაზაში გვითხრეს, რომ ყოველწლიურად აქ 73 ათას კაცს მასპინძლობენ, რომ მათთან ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი ხალხმრავლობაა, ეწყობა ექსკურსიები წაღვერსა და ცემში, ცხრა წყაროს უღელტეხილსა და მიტარბულას ხეობაში.

— ვინც თხილამურებზე პირველად დგება, ისინიც მიგუყავთ სალაშქროდ? — ვეკითხებით „ტურბაზის“ უფროს ინსტრუქტორს გიორგი თომაევს.

— როგორც წესი, აღნიშნული ექსკურსიები სტუმრობიდან ერთი კვირის შემდეგ ეწყობა, მანამდე კი გამოცდილი მწვრთნელები ყველა დამსვენებელს ასწავლიან თხილამურებით სრიალს, — ამიხსნა მასპინძელმა.

ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზის დირექტორს, წარსულში ცნობილ სპორტსმენს კუკური ფანჯაკიძეს, რომ იტყვიან, სულის მოსათქმელადაც არ სცალია. საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის მასპინძელი ყველა პირობას უქმნის სპორტსმენებს ნორმალური ვარჯიშისა და დასვენებისათვის. გაისტუმრებს ოლიმპიელებს, მერე კი საქართველოს პირველობის მოწვევებს მიიღებს. საპოროში ოლიმპიური ახპარეზობა რომ დამთავრდება, მსოფლიოს საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეები“ ჩამოვლენ ბაკურიანში, აქვე გაიმართება საბჭოთა კავშირის პირველობა ტრამპლინიდან ხტომაში...

დიდი საზრუნავი აქვთ ნორჩების სანატორიუმის „მზის სხივის“ მესვეურებსაც. — აქ ის ბავშვები ჩამოჰყავთ, რომელთაც სასუნთქი გზები აქვთ დაავადებული,—გვეუბნება გამოცდილი პედიატრი თამარ ლაბაძე. პატარები ისეთი ყივილ-ხივილით ეშვებიან ფერდობზე თხილამურებითა და ციგებით, ისე კოტრიალობენ, რომ ექიმის ნათქვამით მოძალებული ჭმუნვა მაშინვე ნელდება ბუნებისა და ჩვენი მედიცინის ათასჯერ გამართლებული იმედით.

— ბაკურიანის ჰაერს, კარგ მკურნალობას თავისი შედეგი მოაქვს, — გვამშვიდებს ქალბატონი თამარი, — ბავშვები სულ რაღაც ორ თვეში განკურნებულნი ბრუნდებიან შინ.

ბაკურიანიდან თურქეთში, ირანში, ინდოეთში...

ბაკურიანის ანდეზიტის წარმოებას, სადაც მუავაგამძლე ნივთიერების — ანდეზიტის მოპოვება და დამუშავება ხდება, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც კარგად იცნობენ. ქვეყნად ბევრია ისეთი ქარხანა, რომელსაც ბაკურიანელთა ნაამაგარი სჭირდება.

— უველას, რა თქმა უნდა, ვერ ვწვდებით, — გვეუბნება წარმოების დირექტორი გიორგი ჯაფარიძე, — მაგრამ ჩვენი ქვეყნის ქიმიური ქარხნების გარდა, ანდეზიტს ვუგზავნით თურქეთს, ირანს, ინდოეთს, ვიეტნამს...

ანდეზიტით აპირკეთებენ იმ ნაგებობებს, ამზადებენ ჭურჭელსა და აპარატურას, რომელშიც ძლიერი რეაქციები მიმდინარეობს. შარშან ამ წარმოების შრომისმოყვარე ადამიანებმა 46 ათასი ტონა მუავაგამძლე ანდეზიტის ფქვილი, 14 ათასი კვადრატული მეტრი საჭირო ზომაზე დახერხილი ანდეზიტის ქვა და 2500 კუბმეტრი ანდეზიტის ღორღი მიაწოდეს მომხმარებელს. თავდადებულ შრომას სიკეთითვე უპასუხებენ. მუშებისათვის აშენებულია 10 ორსართულიანი, 6 ორ-ორ ბინიანი სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სასადილო, მაღაზია, აბანო, სტადიონი. მოწინავე მუშების — ნიკოლოზ და სერგო მიქელაძეების, ვლ დიმერ გელაშვილის, გიორგი ბლიაძისა და სხვათა თვიური ხელფასი 250-300 მანეთს აღწევს.

საქვეყნოდ არის ცნობილი ბაკურიანის ნადირთმოშენებელი საბჭოთა მეურნეობა. აქ გამოზრდილი შავყელა ცხლოვანი მელიის, ყარსაღისა და წაულას ბეწვი მაღალ შეფასებას იმსახურებს. ამიტომაც არის, რომ მეურნეობა დღითიდღე იზრდება. თუ შარშან აქ 2831 შავყელცხლოვანი მელა, 3558 ყარსაღი და 2585 წაულა ჰყავდათ, სამოთხე წელიწადში მათი საერთო რაოდენობა 20 ათასს გადააჭარბებს.

ბაკურიანელები თვალისჩინივით უფრთხილდებიან უველაზე დიდ სიმდიდრეს — ტყეს. სატყეო მეურნეობის დირექტორი ლევან გოცირიძე გვესაუბრა თრიალეთის მთებზე ამაყად აზიდულ ნაძვებსა და ფიჭვებზე, წიფლაზე და სოჭზე, აგვიხსნა, რომ ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში შემავალი ტყის ფართობი 27500 ჰექტარს შეადგენს. რომ შარშან ბაკურიანელებმა კიდევ 118 ჰექტარზე გააშენეს ახალი ტყე. ბუნებრივი განახლების სამუშაოები 300 ჰექტარზე ჩატარდა, დაბალი სიხშირის კორომებში დაითესა უამრავი სოჭისა და ნეკერჩხლის ნერგი. მოვა გაზაფხული და ბაკურიანის ტყის ფართობი კიდევ 147 ჰექტარით გაიზრდება..

დიახ, სწორედ ამ თვალუწვდენელმა ტყეებმა აქციეს ბაკურიანი განუმეორებელ კურორტად. აქაური ჰაერი ყოველგვარი დაავადების უებარი წამალია. ჰკითხეთ დედებს და გვეტყვიან, როგორ გაუკაჟდათ ორგანიზმი ბაკურიანში დასასვენებლად ჩასულ ზურას, მაიას, დათოს, მანანას...

დაღამდა. სუსხმა იმატა, თოვლით დაბარდნილი ბაკურიანის მყრიალებულ ცაზე ნამგალა მთვარე ამოცურდა. სასტუმრო „ბაკურიანის“ ერთ მუუდრო ნომერში მასპინძელი ბაკურიანის ხვალინდელ დღეზე გვესაუბრა.

— ორ საშუალო სკოლას მალე ერთიც დაემატება. ერთორ კვირაში მომხმარებელს ფართოდ გაუღებს კარს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, შენდება საბავშვო ბაღის ახალი შენობა, სოხუმელ მოსწავლეთათვის დასასვენებელი ბანაკი. საძირკველი ჩაეყარა რვასართულიან სასტუმროს. ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკის „მზიური ველის“ რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილია 3,5 მილიონი მანეთი. თუ დღემდე ეს ბანაკი წელიწადში 5 ათას დამსვენებელს მასპინძლობს, მომავალში 20 ათასს მიიღებს. აშენდება ზამთრის საცურაო აუზი, ხელოვნური საციგურაო მოედანი, ქართული ფაცხა, მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილი იქნება სამხრეთ საქართველოს ისტორიის ამსახველი მასალები.

გაიყვანენ საბაგირო გზას „მზიური ველიდან“ კახის ტბამდე, სადაც კეთილმოწყობილი სასტუმრო აშენდება.

უკანასკნელ ხანს ბაკურიანის სპორტულ ნაგებობებს ორი ახალი, 70 და 90-მეტრიანი ტრამპლინი შეემატა. მალე დაიწყება მშენებლობა 45-მეტრიანი ტრამპლინისა, ზედ დაიგება ხელოვნური საფარი, რაც „მფრინავ მოთხილამურეებს“ საშუალებას მისცემს ზაფხულობითაც ივარჯიშონ. ამა მაშინ დაიზრდებიან ბაკურიანში კობა წაქაძეები!

ბაკურიანის ანდეზიტის წარმოებას შეემატება ქვის სადნობი და სახერხ-საფქვავი ქარხნები. ჩვენი ქვეყნის ქიმიური წარმოება, მუავაგამძლე ანდეზიტის გარდა, ტუტეგამძლე ანდეზიტსაც მიიღებს...

ბაკურიანიდან მატარებლით წამოვედით. თოვლით დაბარდნილ ცაღაზიდული მთებიდან ერთი ციდა ვაგონები ტაატით დაეშვნენ თავქვე. ზღაპრულ სილამაზესთან განშორება მიძნელდება. გამახსენდა ბაკურიანში დამკვიდრებული ერთი ჩემი მეგობრის სიტყვები: — ჩამოსვლა ადვილია, წასვლას კი არასოდეს ჩქარობსო კაცი.

რევაზ მაჭავარიანი







სურათებზე: ჰაერშია „მფრინავი ტორპედო“; აი საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი კობა წაქაძეც; კოხტა გორისაკენ მიმავალი გზა; შავეერცხლოვანი მელა; მარცხნივ: შეჯიბრება სლალომში; სასტუმრო „ბაკურიანი“; ნორჩი დამსვენებლები.

ლადო რიონელის ფოტოები.

ჟურნალისტური მოღვაწეობის ოცი წლის მანძილზე მონაწილე და მოწმე გყოფილვარ აურაცხელი პრეს-კონფერენციისა. პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, იმპერატორები, შაჰები, მეფეები, ასტრონავტები, გადაწერგილი გულის მქონე ადამიანები, კინოკარსკვლავები, ზღვათა და მწვერვალთა დამპყრობნი, „წინასწარმეტყველები“, — ვინ არ მინახავს იუპიტერებისა და ინტერვიურერების შეკითხვათა გადახლართვაში!

მაგრამ ამგვარი პრეს-კონფერენცია ჩემს ცხოვრებაში ჯერ არასოდეს ყოფილა.

დავიწყოთ იმით, რომ რეპორტიორებსა და მათ მისაკვლევ ობიექტებს შორის სამი ათასი მილი იყო გადაჭიმული. პირველნი იმყოფებოდნენ ჰოლივუდში (კალიფორნია), მეორე — ნასაუში (ბაგამის კუნძულები). ჟურნალისტები ისხდნენ სასტუმრო „შერატონ-უნივერსალის“ სარდაფის სართულში დადგმული ნალისებური მაგიდის ირგვლივ. თვითეულ მათგანს წინ ედო ინდივიდუალური მიკროფონი. სტუდია ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრს მოგაგონებდათ. იგი ჩაეხერგათ ყოველგვარი ტექნიკური აპარატურით.

ჟურნალისტი სულ შვიდი კაცი იყო. ისინი ალალბედზე არ შეურჩევიათ. ყველა მათგანს სხვადასხვა დროს (სულ ცოტა თხუთმეტი წლის წინათ) უნახავს და მოუსმენია ამ ჯენტლმენისათვის. ეხლა მას მხოლოდ უსმენდნენ. ნალისებური მაგიდის წინ პატარა მაგიდა იდგა, მასზე—კი მოყავისფრო-მოთეთრო ამპლიფაიერი, რომლის კლავიშებზე ხან წითელი, ხან კი მწვანე შუქი გაიელვებდა. ყოველივე, რაც სტუდიაში ითქმოდა, იწერებოდა მაგნიტოფონებზე, სტენოგრაფიულ მანქანებსა და ტელეკომპანია „ნეიშნლ ბროდკასტინგ სისტემის“ ფირზე. ამპლიფაიერიდან გამოდიოდა ხრინწიანი, გაურკვეველი, მექანიკური ხმა ადამიანისა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერვიურებისაგან სამი ათას მილზე იმყოფებოდა. იგი იჯდა მიუდგომელ მრავალოთახიან ლუქსში ბაგამის სასტუმრო „ბრიტანია ბიჩის“ მეცხრე სართულზე, მილიარდობით თავისი დოლარით, თითქოს მილიონობით სინათლის წელიწადით მოწყვეტილი მთელი მსოფლიოსაგან. ლუქსის შეჯავშნული კარების წინ მას იცავდნენ შეჯავშნული გუშაგები, ხოლო სასტუმროს სახურავზე ბოლთასა სცემდნენ პინკერტონები, რომელთაც საყელურებით ეჭირათ გერმანული ნაგაზები. სადღაც ქვევით ზღვის ათინათი და ბაგამის კუნძულების პლაჟთა ვარაყი კრთოდა და ცის ტატნობს იქით იკარგებოდა.

კაცს, რომლის ხმით იუწყებოდა ამპლიფაიერი, ჰოვარდ როუდბარდ ჰიუზს ეძახდნენ. დიადი მდუმარე — ამერიკის ყველაზე მდიდარი და საიდუმლოებით მოცული მაგნატი — ბოლოს და ბოლოს ალაპარაკდა.

შარშანდელი წლის „ნედელიას“ 52-ე ნომერში ვწერდი იმ სკანდალზე, რომელიც ატყდა „მაკგროუ-ჰილის“ წიგნის გამომცემლობასა და ჟურნალ „ლაიფს“ შორის მათ განზრახვასთან დაკავშირებით — გამოექვეყნებინათ ჰიუზის ავტობიოგრაფია, თითქოსდა მის მიერ დაწერილი ლიტერატორ კლიფორდ ირვინგთან თანამშრომლობით. ამ კორესპონდენციის გამოქვეყნების შემდეგ სკანდალმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო და უკანასკნელი დღეების განმავლობაში იქცა პირველი გვერდის სენსაციად გაზეთებში და ნომერ პირველ სიახლედ ტელევიზიაში. იგი შორს გასცდა მისტიკური ავტობიოგრაფიის ტექსტის აუთენტურობის პრობლემის ჩარჩოებს, გახდა სასტიკი ბრძოლების ობიექტი სხვადასხვა კონცერნსა და კორპორაციას, პოლიტიკურ ჯგუფსა და სასამართლო ორგანოს შორის, ბრძოლებისა, რომლებშიც სასწორზეა შეგდებული არა მარტო ასობით მილიონი დოლარი, არამედ ათიათასობით ადამიანის ბედი.

ჰიუზის ემისართა ყველა ცდა, დაერწმუნებინათ „მაკგროუ-ჰილისა“ და „ლაიფის“ მესვეურნი „ავტობიოგრაფიის“ სიყალბეში და ხელი შეეშალათ მის გამოქვეყნებაში, ამაო გამოდგა. „ჰიუზ ტულ კომპანის“ მთავარი იურიდიული მრჩეველის ჩესტერ დევისის სიტყვით, გამომცემლობებმა უარი თქვეს მასთან მოლაპარაკებაზე, უარი უთხრეს წარედგინათ მისთვის წიგნის ტექსტი და მისი ნამდვილობის დამამტკიცებელი ფაქტები. როდესაც კომპრომისის მიღწევის ყველა შესაძლებლობა საბოლოოდ ამოიწურა, ჰიუზის მომხრეებმა გამოიყენეს უკანასკნელი ხერხი — მოაწყეს თვითონ პატრონის პრეს-კონფერენცია, რომელიც, თავისი ოთხი პირადი მდივნის გარდა, არავის ენახა თხუთმეტ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში.

ეხლა კი დავუბრუნდეთ ჰოლივუდის სასტუმრო „შერატონ-უნივერსალის“ სარდაფის სართულს. პრეს-კონფერენცია დაიწყო ჰიუზის პიროვნების დადგენით. რეპორტიორებმა, რომლებიც მას წინათ იცნობდნენ, ორ-ორი კითხვა მოამზადეს იმისათვის, რათა დარწმუნებულიყვნენ ინტერვიუს მომცემის ნამდვილობაში. პრეს-კონფერენციის ეს ნაწილი გრძელდებოდა დაახლოებით ოც წუთს. ყველა შვიდმა ჟურნალისტმა ერთსულოვნად აღიარა, რომ ამპლიფაიერიდან გამომავალი ხმა ჰიუზს ეკუთვნოდა. ისინი დარჩნენ „სავსებით კმაყოფილნი“ მისი ლაპარაკის მანერით და „ჰიუზის იმპერიაში საქმის ვითარების ზუსტი და ენციკლოპედიური ცოდნით“. ჰიუზის ზოგიერთი რეპლიკა იმდენად მლაშე იყო, რომ გაზეთები იძულებული გახდნენ გამოეტოვებინათ ისინი, როგორც უცენზურო. ესეც სარწმუნოდ ჟღერდა. ჰიუზს არასოდეს უთაკილია გამოთქმათა შერჩევისას.

მეორე დღეს მოახდინეს პრეს-კონფერენციის მაგნიტოფონზე ჩანაწერის შედარებითი ანალიზი ლოს-ანჯელესისა და სომერვილის (ნიუ-ჯერსის შტატი) კრიმინალისტურ ლაბორატორიებში. „ეშსპერტებმა“, რომლებმაც ფირი შეადარეს 1946 წელს ჰიუზის გამოსვლებთან სენატის სხვადასხვა ქვეკომისიაში არსებულ ჩანაწერებს, ერთსულოვნად დასკვნეს, რომ ამპლიფაიერი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ლაპარაკობდა ნევადელი მილიარდერის ხმით.

რეპორტიორებმა, რომლებმაც „იცნეს“ ჰიუზი, ერთმანეთს აღარ დააცალეს კითხვების მიცემა, რა არის თქვენი განდეგილობის მიზეზიო, ბოხდება თუ არა მომავალში თქვენი „გამოცხადება ხალხის წინაშეო“ და, ცხადია, ნამდვილია თუ არა „ავტობიოგრაფია“, რომლის გამოცემას აპირებენ „მაკგროუ-ჰილი“ და „ლაიფიო“. კითხვებს სატყეპავით აყრიდნენ და პრეს-კონფერენცია სამ საათს გაგრძელდა. მე საშუალება არა მაქვს არც დავამტკიცო, არც უარვყო ჰიუზის ხმის ან მისი ავტობიოგრაფიის აუთენტურობა, მაგრამ ერთი რამ შემიძლია თამამად განვაცხადო: პრეს-კონფერენციის, კითხვა-პასუხის სტენოგრაფიული ჩანაწერის თვით ატმოსფერო უმნიშვნელო წვრილმანებამდეც კი ნამდვილად ცხოვრების ამერიკული ყაიდის სურათი იყო.

ჰილი (ნიუ-იორკ ტაიმსი“). თქვენ 66 წლისა ხართ. გაქვთ თუ არა რაიმე ქრონიკული ავადმყოფობა, რომელსაც სჭირდება რეგულარული მკურნალობა, ანდა სპეციალური მოწყობილობა ჟანგბადის კარვის მსგავსად?

ჰიუზი. საბედნიეროდ, არაფერი ამის მსგავსი. არაფერი ამის მსგავსი დღეისათვის.

ტომისი („ჩიკაგო ტრიბიუნი“). არსებობს თქვენი გარეგნობის ერთობ აბსურდული აღწერილობა. მაგალითად, თქვენი ხელის თითებზე ფრჩხილების სიგრძის შესახებ. ხალხი კითხულობს, როგორ ახერხებთ კორესპონდენციის ხელმოწერას ასეთი გრძელი ფრჩხილებით?

ჰიუზი. აი შესანიშნავი დადასტურება იმისა, რომ მე გრძელი ფრჩხილები არა მაქვს.

ტომისი. მისტერ ჰიუზ, იჭრით თუ არა ფრჩხილებსა და თმას?

ჰიუზი. ამას მე თვითონ ვაკარულებ. მანიკური არასოდეს გამიკეთებია. ყოველთვის მქონდა ზომიერი სიგრძის ფრჩხილები. მე მათ ვიჭრი მაშით და არა მაკრატლით. მაშით ვიჭრი იმიტომ, რომ შემდეგ არა რჩება უხეში ნაწილები. ასე თუ ისე, ვზრუნავ ჩემი ფრჩხილებისათვის იმგვარადვე, როგორც ყოველთვის, როცა დედამიწის ირგვლივ ვმოგზაურობდი, ანდა პრესის წარმომადგენლებს ვხვდებოდი. ვზრუნავ ჩემს ფრჩხილებზე ისევე, როგორც ამას ვაკეთებდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.

მაილსი („ლოს-ანჯელეს ტაიმსი“). სერ, არ მინდა თავი მოგაბეზროთ, მაგრამ საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი, ბუნებრივია, ცხობისმოყვარეობას იჩენს თქვენი გარეგნობის აღწერილობის გამო, რომელიც „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ მარშანდელი წლის თხუთმეტი ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა სათაურით „ჰოვარდ ჰიუზის უცნაური თავგადასავალი“. გთხოვთ, კომენტარი გაუკეთოთ მას. იგი თითქოს უყურადნობა იმ ჩვენებებს, რომლებიც ფედერალური დიდი ჟიურისათვის მიგიციათ მაიამში.

ჰიუზი. თქვენ მხედველობაში გაქვთ 97 გირვანქის ისტორია ჭამრამდე დაშვებული წვერის ამბავი და ასე შემდეგ?

მაილსი. ერთ წუთს. თქვენზე ეწერა, რომ იწონით 94 გირვანქას, გაქვთ წვერი, რომელიც მთელ მკერდს გიფარავთ, თმა მხრებამდე გწვდებათ, ფრჩხილები ხელსა და ფეხზე სიგრძით თორმეტიდან თვრამეტ სანტიმეტრამდე.

ჰიუზი. მ-და, ჩემი სტატისტიკა მზად არის: სიმაღლე — ექვსი ფუტი და სამი დიუმი, წონა — რაღაც 140-სა და 150 გირვანქას შორის. გამხდარი ვარ. გამხდარი ვიყავი ყოველთვის. მეტი რაღა?

მაილსი. ფრჩხილები 12-18 სანტიმეტრი.

ჰიუზი. მ-და, მაგრამ ესეც ხომ ძნელი წარმოსადგენია! მე რომ ფეხებზე ამისიგრძე ფრჩხილები მქონდა, სიარულს ვერ შევძლებდი; სკლებზეც რომ ასეთი ფრჩხილები მქონდა, წერას ვერ მოვახერხებდი.

მაილსი. თუ გაქვთ წვერი? რა სიგრძისა?

ჰიუზი. წვერს კატარებდი, მაღლობა ღმერთს, საკმაოდ დიდხანს, ჯერ კიდევ მანამდე, რაც წვერი მოდაში შემოვიდოდა.

მაილსი. ულვაშიც ჭქონდათ?

ჰიუზი. დიახ, ნორმალური სიგრძისა. ასეთ ულვაშს, ვგონებ, „ვან დეიკს“ ეძახიან.

მაილსი. თმა კი მხრებამდე გწვდებოდათ?

ჰიუზი. რა თქმა უნდა, არა...

ამ დიალოგის უაზრობა სიგიჟემდე მიდის. მაგრამ ამ დიალოგს ყურს უგდებდა მთელი ამერიკა. დიალოგმა მისტერ ჰიუზის გრძელ ფრჩხილებსა და თმაზე უკანა პლანზე გადასწია ინდოჩინეთში ომის შესახებ ცნობებიც კი. ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში ვაშინგტონის როლის სენსაციური მხილებაც, პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დაწყებაც. ამერიკას თითქოს ჭკუა ელრძოო, იგი თითქოს გადაიქცა პოლივუდის ფილმების ერთ მთლიან გიგანტურ გადასაღებ მოედნად.

რეპორტიორებმა, რომლებმაც საქმე მოითავეს ფრჩხილებსა და თმასთან, ჰიუზისაგან შეიკადნენ პასუხის მიღებას კითხვაზე რატომ ეწევით განდეგილის ცხოვრებასო. პირველად ჰიუზმა თქვა, თვითონ არ კვცი, რატომაო, და დაჰპირდა კიდეც, რამდენადაც შეეძლო მალე დაელწია თავი განდეგილობისაგან, რადგან იგი კურიოზად მაქცევსო. შემდეგ განდეგილი მილიარდერი უფრო გულწრფელი გახდა.

ჰიუზი. საოცარია, ჭეშმარიტად საოცარი — ქვეყნად ნეიტრალური ვერ იქნები. უბრალოდ, საკუთარ საქმეებს ვერ აწარმოებ და ვერ მოახერხებ ისე იცხოვრო, ნორმალური რომ გეჩვენოს. ეს უბრალოდ შეუძლებელია. უნდა იმოქმედო გარკვეული ნორმების შესაბამისად, რათა ხალხი დააკმაყოფილო...

(აი ესეც. წევნიმნავთ ფრჩხილებში, უკიდურესობამდე მიყვანილი პიროვნებისა და მეწარმეობის თავისუფლებას!).

ჰიუზს სურდა, მთელი ამერიკა მას ჩანჩალით მიჰყოლოდა სიტყვის შეუბრუნებლად დამორჩილებოდა მის ბრძანებებსა და ახირებებს. როცა ამერიკამ უარი თქვა ამის გაკეთებაზე (როკფელერებსაც, ფორდებსაც, ჰეტებსაც უნდათ ცხოვრება!), გაცოფებული მილიარდერი-ეგოცენტრიკი გაექცა მას. ჯერ ლასვეგასში, შემდეგ კი ბაჰამის კუნძულებზე. ჰიუზმა პირდაპირ განაცხადა: დიუნებში წავედი არა იმიტომ, რომ მცხვენია ჩემი რომელიღაც ფიზიკური ნაკლისა, არც იმისათვის, რომ მეშინია „კიდიპინგისა“ — მოტაცებისა, თუმცა ამას ანგარიში მაინც უნდა გაეწიოს; მე გავიქეცი ამქვეყნურ ამაოებას, იმიტომ, რომ არ მინდა ჩემი ცხოვრების დარჩენილი დრო სხვადასხვა სასამართლო დარბაზში გავატარო.

აქ ჰიუზის ხმაში მოულოდნელად პათოსი შეიჭრა: „არ მინდა ეს! ჩემს გემოვნებას არ შეეფერება ეს! არ შემიძლია ამას არც მივესალმო და არც წავახალისო!“ საქმე ის არის, რომ ჰიუზის იმპერია აწარმოებს გიგანტურ სასამართლო დავას მეტოქეებთან და კონკურენტებთან. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ავიაკომპანია „ტრანს უორლდ ეირუეისათვის“ აქციების მიყიდვის საქმე, სადაც იგი ჩასულია ას ორმოცდაათ მილიონ დოლარს, ანდა დუელი ყოფილ პარტნიორთან — „ნევადელ ყმაწვილის ბიზნესის მაქინატორ“ მეი ჰიუსთან (ჩასვლა — ორმოცდაათი მილიონი დოლარი). ჰიუზი წინათაც აფურთხებდა ამერიკულ კანონმდებლობას, თვლიდა, — კაცმა რომ თქვას, არც უსაფუძვლოდ, — ეს კანონმდებლობა ჩემთვის არ არსებო დაწერილი. ხოლო ბაგამის კუნძულებზე გადასახლების შემდეგ მისთვის სავსებით მიუწვდომელი აღმოჩნდა ვაშინგტონის თემიდა.

ბოლოს ჰიუზს მისცეს ტრადიციული შეკითხვა, რომელშიც ჩაქსოვილია ამერიკული ცხოვრების ყაიდის მთელი სიბრძნე.

ბეკონი. ბედნიერი ხართ თუ არა თქვენ, როგორც ადამიანი, რომელსაც გაქვთ ორნახევარი მილიარდი დოლარი?

ჰიუზი, არც ისე... არც ისე ბედნიერი ვარ, შემიძლია გითხრათ... და თუ თქვენი შეკითხვის აზრი ის არის, ვარ თუ არა ბედნიერი და კმაყოფილი, პასუხი იქნება „არა“.

რეპორტიორები, რომლებმაც დაასრულეს ფილოსოფიასთან ურთიერთობა, გადავიდნენ ცხოვრების პრობლემაზე. უიღბლო მილიარდერმა კატეგორიულად უარყო იმ მანუსკრიპტის ნამდვილობა, რომელიც იმყოფება „მაკგროუ-ჰილისა“ და „ლაიფის“ განკარგულებაში. მან თქვა, არასოდეს მიმიღია მათგან არავითარი ჩეკი-ჰონორარი, არასოდეს თვალით არ მინახავს კლიფორდ ირვინგი და საერთოდ არ ვიცი, რა ჩიტია იგიო.

და ასე, შეიძლება თქვას გამოუცდელმა მკითხველმა. ეხლა კი ყოველივე ნათელია, „ი“-ზე ყველა წერტილი დასმულია მოჭრილი ფრჩხილებიანი ხელითო. ჰიუზის „ავტობიოგრაფია“ ყალბია. მაგრამ საჭირო არ არის ავიჩქარდეთ ასეთი კატეგორიული დასკვნების გამოტანისას. დიადი მდუმარე მართალია აღაპარაკდა, მაგრამ მისი „ყოფის“ საიდუმლოება სულაც არ ამოხსნილა, იგი, უფრო მეტად დაიბნართა, რატომ? ამის თაობაზე შეეცდებით სადმე შემდეგში მოგითხრონთ.

მელორ სტურუა

ნიუ-იორკი.

გიორგი ნატროშვილი



მოთხრობა

ბნელი ღამე იდგა. ივრის ხეობა დუმილში ჩაძირულიყო. მწყემსებს, კერაზე ცეცხლი გაეჩაღებინათ და ხინკალს ახვევდნენ, ახალ წელსა ხვდებოდნენ. მალე ხინკალი ჭაფჭირებით გრძელ ხონჩაზე ამოალაგეს და ირგვლივ შემოუსხდნენ. სარჭალმა სავსე ტიკჭორა დაიწვინა მუხლებზე და პატარა ყანწით არაყი ჩამოატარა, ტკბილი საწამლავივით დაირბინა სასმელმა სხეულში და მწყემსებს ენა ამოადგმევინა.

მერე ჩაიბა ის უთავბოლო ლაპარაკი, ხან მთისას და ხან ბარისას რომ აურევენ ხოლმე ერთი-მეორეში. შავტუხა ჭეელმა, ყარაჩას რომ ეძახდნენ, იმდენი ილაპარაკა, საღერღელი აუშალა შოფერსაც, იმ საღამოს რომ ჩამოსულიყო სოფლიდან ზამთრის საძოვრებზე, ტანსაცმელი და სურსათით დატვირთული სამტონიანი მანქანა ჩამოეყვანა.

და ლექსომაც დაიწყო თავისი ამბავი...

* * *

— თქვენც კარგად იცით, შოფერზე ვერავინ იტყვის, კამეჩის რქაშია გაზრდილი და ქვეყანაზე არაფერი უნახავსო, მაგრამ მე მაინც, მართალი გითხრათ, ბევრი არა მენახა რა. აი ის შირაქის მინდვრები და ეს ივრის საძოვრები, წნორი და ლაგოდეხი — ეგ იყო სულ ჩემი რეისები; დროდადრო თბილისშიც ჩავდიოდი, ხან შვრიაზე დასუქებული ჭედილები ჩამყავდა, ხან ღვინო ჩამქონდა წერაში, ხანაც საზამთროს ვეზიდებოდი დეზერტირის ბაზარზე. ერთი სიტყვით, რა ვიცი, რასაც დამავალებდნენ. ფიქრად არ მომივიდოდა, რომ უეცრად შუაგულ ევროპაში ამოვყოფდი თავს... ტაგანროგთან მძიმედ დაჭრილი, უმწეო, ტყვედ რომ წამიყვანეს, ვინ იცის, საით არ მატარეს... მერე დავკარ ფეხი და გავიქეცი, არ ვიცოდი, საით მივრბოდი და ამასობაში თურმე ხორვატიამდე გამეღწია.

მართალი გითხრა, იქ სულ დავიბენი. ღამე იყო, პარტიზანებთან რომ მივედი; იმავე ღამეს ავიყარენით და მეორე დილას ხადღაც ხეობაში რომ შემოგვათენდა და შევჩერდით — თვალს არ დავუჯერე. კინაღამ დავიყვირე ბიჭოს, საქართველოში ხომ არ ჩამოვედით, ეს ხომ გედიჭის ხევიამეთჭი; აგერ წისქვილებიც, ქვიშიანზე წყარო მოწანწკარებდა და ისე დაერეცხა კენჭები, ისეთი სუფთა და ლივლივა იყო, როგორც მარტო გედიჭზე მინახავს. შევხედე — ვიღაც გლეხი მოდის, ტიბაანელი კაცივით დაუყენებია ულვაშები. ერთი სიტყვით, ის ქვეყანა, შმაო, ძალიან ჰგავს კახეთს. რას იცინი, ყარაჩავ, არა გჯერა? რაო? ქვიშა ყველგან ერთნაირია, აბა რას ამბობ, ტურას რაც ესიზმრება, ის აგონდება? ტურაც შენ თითონ ხარ და მგელიც. ჰო, კარგი, არა ჰგავს და ნუ ჰგავს... სათქმელი დამაცალე.

და ლექსომ ისე აუქნია ხელი ყარაჩას, სიტყვას რომ არ აცლიდა, თითქო აბეზარ ბუზს იგერიებსო; ყარაჩაც ერთ ხანს ჩაჩუმდა და საინტერესო ამბის მოლოდინში გაინაბა.

— ჰოდა, იმას ვამბობდი... ხორვატელმა პარტიზანებმა მკითხეს: აბა რა კაცი ხარ, რა შეგიძლიანო? ყველაფერი შემიძლიან, ტყვიამფრქვევის ხელი ვიცი, ქვემეხი, შოფრობაც ვიცი-მეთქი. კარგი, რახან ასეაო, და შოფრებთან მიკრეს თავი. ხორვატელებთან კი შოფრებად უმეტესობა გამოქცეული იტალიელები იყვნენ. მთელ ევროპაში, რამდენი ქვეყანა არა ვნახე, ყველა იტალიელს მამსგავსებდა და ბედმაც მაინც იმათთან ყოფნა შემახვედრა.

ყარაჩამ ისევ გაუტრიზავა სიტყვა.

— მამა გიცხონდება, შენ სიფათს რომ დაინახავდნენ, იტალიელს კი არა, ვინ იცის, შუქურ დედოფალსაც შეგადარებდნენ...

— დამაცა, შე მართლა ყარაჩავ! შენ ვითომ ბევრი გინახავს... ტიბაანს არ გასცილებიხარ... ისინიც აგეთები ყოფილან ეე, აჯამო! ავრე ჩვენსავით მზედაკრულები... შენ რა იცი, წიგნებშიც ავრე წამოკითხავს. — სამხრეთის ხალხიაო და სახით ქართველებს ჰგვანანო. ეგეც არ იყოს, მე იქ ვიყავ და შენ ამბავს ჰყვები? მეტსაც გეტყვი... თითონ იტალიელებსაც კი შეეშალათ; ერთმა შოფერმა მაშინვე თავის ენაზე რაღაცა მკითხა:

— რას მიედ-მოედები, შენი არა მესმისრა-მეთქი, — წავიბუტბუტე ჩემთვის და ერთი მაგარი, ჭაღალდზე დაუწერელი ქართულიც მივაყოლე. ჩემს გაკვირვებას სახეზვარი არა ჰქონდა, როცა იმ ჩერჩეტმა გაიღიმა და ქართულადვე მიპასუხა:

— გაგიმარჯოს...

და მორჩა. ამოწურა, გაათავა მთელი თავისი ცოდნა ქართული ენისა.

იმავე წამს მივხვდი: აქ სადღაც ახლოს ქართველები არიან, თორემ ეს ერთი ღერი ქართული ამ კაცს ვინ ასწავლა!

მაგრამ ჩვენებურების საძებრად აღარ მეცალა. ისევ აგვყარეს და შუადღემდე ვიარეთ, ერთ ვეება სოფელში შევჩერდით.

* * *

იმ სოფლის შუაგულში მშვენიერი, მწვანით მოფენილი მოედანი იყო. მოედანზე პარტიზანები ჯგუფ-ჯგუფად წამოწოლილიყვნენ. მე ისევ ის ფიქრი მაწუხებს: ქართველი მინდა ვიპოვნო ვინმე. ვიცი, უეჭველად იქნებიან. ხმა დადიოდა — რეგულარულმა საბჭოთა ჯარმა უკვე კარგა ხანია მოაღწია აქამდეო; რაკი ასეა, მათში ქართველი არ შეიძლება არ ერიოს-მეთქი, ვიფიქრე. მივანებე თავი იტალიელ შოფრებსა და გავყევ მოედანს, იქით, ბოლოში ბლომად ხალხი ჩანდა...

ორსართულიან სახლს რომ მივუახლოვდი, უნებურად ფეხი შემიჩერდა, თითქოს რაღაც მოულოდნელი შემომესმა: მაღლა აივანზე ხორვატელი ქალიშვილები მღეროდნენ, მღეროდნენ რაღაც ძალიან ნაცნობს; რა არის, რა ხდება, სადა ვარ... ბიჭოს, ეს ხომ სულიკოა, კაცო, აკაკის სულიკო... ფეხი ველარ გადამიდგამს, მოჯადოებულივითა ვდგევარ და ვუსმენ... სიმღერის სიტყვებს ვაკვირდები და უარეს გაოცებას ვეძლევი: ვერაფერი ვერ გამიგია! სულიკოსა მღერიან და შიგ მესმის სიტყვები: „საბჭოთა არმია“, „თავისუფლების მხარე“.

ვიღაცის მუჯლუგუნმა გამომაფხიზლა. მოვიხედე დაბნეულმა და ჯერ ისევ ბურანში მყოფმა, ახალგაზრდა შავტუხა ბიჭს, საბჭოთა ჯარისკაცის მაზარა რომ აცვია, დოინჯი შემოუყრია და მეკითხება რაღაც ისეთ ენაზე, რომელშიც ხორვატული სიტყვებიც ურევია, სერბიულიც, რუსულიცა და ქართულიც, მეკითხება და თან ხელებსა და თვალებს იშველიებს:

— რაო, რა პირდაღებული შეჰყურებ, მოგეწონა?

ამასაც უცხოელი ვგონივარ. დაე, ეგონოთ, ერთ ხანს აღარ გადავარწმუნებ... მივიხედ-მოვიხედე. საბჭოთა ჯარისკაცები მახვევიან ირგვლივ. ქართველები არიან. მეც ხომ იმათ ვეძებდი.

— ძალიან-მეთქი, — ვუთხარი მეც იმ უცნაურ ენაზე და მასავით ხელებთან ერთად ფეხებიც მოვიშველიე.

— იცი კი, რა არის ეგა? ეგ ქართული სიმღერაა, გაგიგონია საქართველოში?

— არა-მეთქი, — გავიქნიე თავი და კინაღამ გული ამომჯდა, ყელთან რაღაც მეწვის, ვატყობ ცრემლები მაწვებიან თვალებზე.

არ გამიგონიაო? ისეთი ზიზღით შემომხედა, თითქოს კაცი კი არა ჭია-ღუა იყოს მის წინ. შევატყვე. სულ დავკარგე ფასი იმის თვალში; ამხედ-დამხედა, შოფრის კომბინიზონი მეცვა. ტაოტითა და ბენზინით დალაქული. ამაზე მიხვდა, რომ შოფერი ვიყავი და თანაც, როგორც გითხარით, უცხოელი ვეგონე. მწყობრის ჯარისკაცი ხომ სამნეო ხალხს ცოტა ზევიდან, ქედმაღლურად უცქერის. იმანაც გამკილველად გადმომკრა:

— ჰოო, შენ საიდან გეცოდინება... აბა საჭმელი მეხსენებინა, თუ არ გეცოდინებოდა... ეგრეა, სადაც ბევრს გაჭმევენ, იქით წახვალთ... აქაც ალბათ ჭამისათვის იქნები მოსული, საომრად კი არა...

სიტყვა მეორე ქართველმა ჩამოართვა:

— ეს შოფრები მთლად ალეშე ხალხია... აგერ ვნახე ერთი, გადაებრუნებინა ავტო... თითონ გვერდით მისწოლოდა და ეძინა...

— არა, მაგას ნუ იტყვით, ბიჭებო! — მხარი დამიჭირა მესამე ქართველმა, — რაც ამ ომში შოფრებმა გადაიტანეს, ჩვენებმაც და მაგათებმაც, — და თითი ჩემსკენ მოაშვირა, — ენა ვერ იტყვის.. ვინ გზიდავდათ ვაზნებს ცეცხლის ხაზზე, ვის გაჰყავდა დაჭრილები, ვის მოჰქონდა საჭმელი... მაგათი წყალობით არ გვედგა სული? მე შოფრები მინახავს — ტყვიასა და ყუმბარის წვიმაში უტარებიათ მანქანები, ჯოხოხეთის ბეწვის ხიდებზე უვლიათ, დღეში ცხრაჯერ ისე შეუგდიათ თავიანთი სიცოცხლე ბედის სასწორზე, რომ არც კი დაფიქრებულან...

— მოიცა, თუ ძმა ხარ, ქადაგად ნუ დაეცი, — გააწყვეტინა ისევ პირველმა, იმ შავტუხა ბიჭმა, — ეგ უველაფერი მაგრეა, მაგრამ მერე ამას რა? — უჩვენა ჩემზე, თან მომიახლოვდა, „გამაგრდიო“ დამჭყივლა უეცრად, მხარში ხელი ჩამავლო და სასეიროდ სარმა გამკრა, ლავაშივით უნდოდა გავეკარი მიწაზე და ამხანაგები ეცინებინა.

წავბარბაცდი, მეწყინა და ხელი მოვკიდე.

ძალზე ეოცა, ბიჭებიც მოგროვდნენ. უკვე ინტერესით გვიცქერიან.

— ბიჭებო, გავწიწკნი ამ ბატის ჭუკს! — წამოიძახა შავტუხამ. მესამე ქართველი წამოვიდა, შუაში ჩადგა და იმანაც იმ უცნაურ ენაზე მითხრა თუ მანიშნა:

— თავი დაანებეო, — დამარიგა და მერე ხელით მანიშნა, როგორ ამოეყვანდა ჰაერში და მიწაზე დამანარცხებდა.

მე კი გავჯიუტდი. მეჭიდაოსმეთქი.

კარგიო. ვხედავ შემოიხსნა ჭამარი, ცალი ხელი ჭამარში ჩაიტანა და ისევ შემოირტყა, ამრიგად ერთი ხელი შეიკრა, ვითომდა სულ არაფრად არ მიმაჩნიხარო.

— ცალხელიან კაცს არ ვეჭიდები-მეთქი, — ვეუბნები, უფრო გაუკვირდა და ვატყობ, შეფიქრიანდა.

ვდგევარ წრეში და ვუცდი. რაღა ვკარგავ, ჩემი თავის იმედი მაქვს; თუ წამაქცევს — ვიტყვი, იტალიელი ვარ-მეთქი, მორჩა და გათავდა.

ის კი მაინც უარზეა, ბრლოს მეც მასავით ჩავიბი ხელი, მაშინ კი გამწარდა, დამცინისო, აიხსნა ხელი და მეძგერა.

ჭორიკით წამოვიდა, დამეტაკა და პირველ წუთში კინაღამ გამიტანა. ფიცხი იყო... გამოცდილიც.. არც მე გახლდით უცოდინარი ყმაწვილი.

ვიღაცამ სალამურზე საჭიდაო დაუკრა.

ჰოდა, ახლა მე შევუტიე... ორივე ხელით ცალ მხარში მაგრად ჩავაფრინდი. მხრიდან მოვწიე, დავიქნიე, ერთხელ, ორჯერ, მერე მარჯვენა ფეხზე ჩავიმუხლე და ჯვარედინი ჩოქელა კისრულით გადმოვიტანე... იმავე წუთს ვიგრძენი, როგორ აფრიალდა ჰაერში იმისი ჩოხასავით შემოკვალთული მაზარა და ფალავანი როგორ გაიშალა ორივე ბეჭით მიწაზე.

— უჰ, რა კისრულით გადმოიტანაო! — დაიძახა ვიღაცამ აღტაცებით იმ დროს, როცა ჯერ ფალავანი ისევ ჰაერში იყო.

სალამურმა საჭიდაო შესწყვიტა და ლეკურზე გადავიდა. იმავე წუთს დვტაცე ჩაქცეულს ხელი, წამოვაყენე, ვაკოცე და თან დავიძახე:

— ტაში, ტუში, ტააშები...

ვიღაცამ ტაში დასცხო. ვიღაცამ დოლსაც ბუხუნი აუტეხა (უკრავდა ვაზნების დაცარიელებულ, მორეცულ ფიცრის ყუთზე).

იმ ბიჭმა კი მითხრა:

— შე რჯულძაღლო, გეთქვა, რომ ქართველი ხარ, ეს რა ოინი მიყავიო!

მერე დავსხედით და ვიქეიფეთ, იქვე დავიძინეთ, მოედანზე.

იმ ღამეს სიზმარში სულ საქართველო მელანდებოდა. ხან ამწვანებულ გედიჭს ვხედავდი, ხან სულიკოს ვუსმენდი, ხან ზურნა საჭიდაოს უკრავდა და ძარღვებში სისხლს სულ თახთახი გაჰქონდა.

* * *

მწყემსები ქანდაკებასავით ისხდნენ ცეცხლთან. მარტო მეურმეს, აპეურების დაწვნით გართულს, ჩასძინებოდა.

— სადაური იყო ის ბიჭი? — ჰკითხა ყარაჩამ შოფერს.

— ნინოწმინდელი ყოფილიყო... მერე მითხრა...

— აჰ, საქართველოში აღარსად შეგხვედრია?

— არა, შარშან იმის სოფელში მომიხდა ყოფნა, მივიკითხ-მოვიკითხე. ველარ ჩამოვიდაო. ვინ იცის სად არის ახლა? ან არისლა? აჰ კი ისევ გასცქერიან იმის გზას. მარტო შინაურებს კი არა, მეც მენატრება იმისი ნახვა. ისე ვარ, თითქოს ძმა მყოლოდეს დაკარგული.

სარჭალმა მწყემსებს გადახედა:

— აბა, ადექით, ბიჭებო! ცხვარს დაჰხედეთ... ამაღამ ფარეხში დაიძინეთ... ცუდი ამინდია.

მწყემსები წამოდგნენ და სადგომიდან ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

„ისტორია“

ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი მალე მიიღებს მეტად საგულისხმო ნაშრომს — აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა დასაბეჭდად მოამზადა ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორია“. საინტერესოა მოუსმინოთ, რას ამბობს ამ წიგნის თაობაზე თვით ბატონი სიმონი:

— უნდა განვაცხადო, რომ არ არის სწორი, თითქოს ვახუშტიმ დაწერა ისტორია და გეოგრაფია, მას არც ისტორია დაუწერია არც გეოგრაფია. მისი მეცნიერული შემეცნებით ისტორია წარმოუდგენელია გეოგრაფიის გარეშე. ამიტომ როცა ქართლზე წერს, იგი ისტორიას წინ წარუმძღვარებს გეოგრაფიულ აღწერას, ასევე იქცევა კახეთისა თუ საქართველოს სხვა კუთხეების ისტორიის წარმოდგენისას, ასეა დაწერილი ვახუშტის წიგნი — ყველა ისტორიას ახლავს გეოგრაფიული მიმოხილვა.

ამ სახით ბატონიშვილის წიგნი პირველად იბეჭდება, აქამდე კი ასეთი ვითარება იყო — ამ საინტერესო შრომიდან აკადემიკოსმა ბროსემ (არ ვიცი რა მოსაზრებით) გამოყო გეოგრაფია და ცალკე დაბეჭდა. შრომის მეორე ნაწილი ბროსესვე მონაწილეობით გამოსცა ჩუბინაშვილმა 1848 წელს, მას შემდეგ ეს შრომა სამჯერ გამოვიდა ცალ-ცალკე.

ჩვენს ხელთ არის მშვენიერი ხელნაწერები, ავტოგრაფი, კარგად შენახული 80-90-იანი წლების გადანაწერები, რამაც საშუალება მომცა სრულად აღმედგინა ვახუშტის ნაშრომის პირველი სახე. უნდა აღვნიშნო ამ საქმეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ ილია ვეკუას მიერ ჩემთვის გაწეული დიდი დახმარება. მან ამ წიგნის გამოცემის დასაჩქარებლად სპეციალური ასისტენტი — კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი ნინო ჭავჭავაძე გამომიყო. ამასთან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა ვახტანგ ჭელიძემ ყოველგვარი ხელშეწყობა აღმომიჩინა.

ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიის ტექსტი 50 თაბახს მოიცავს. მას ერთვის ჩემი ნარკვევი-გამოკვლევა სუთი ფორმის რაოდენობით; წიგნს ბოლოში დართული აქვს ლექსიკონი და საძიებლები.



„ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი თარგმანი

მრავალი ქვეყნის ხალხი ეზიარა შოთა რუსთაველის გენიას. მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნება ქართული პოეზიის ეს თვალ-მარგალიტი და ხან ერთი ქვეყნიდან, ხან მეორიდან გვიგზავნიან თავიანთ ენაზე ამეტყველებულ „ვეფხისტყაოსანს“.

ეხლახან გამოჩენილმა ბულგარელმა პოეტმა სტოიან ბაკირჯიევმა საახალწლო ნობათი გვიძღვნა: მან თავის დედაენაზე აამეტყველა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

ბულგარული ლიტერატურული ჟურნალის „როდნა რეჩის“ 1971 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნდა სტოიან ბაკირჯიევის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი თარგმანის ერთი თავი — „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებნად“. აქვე დაბეჭდილია ჩვენი თანამემამულის, ბულგარეთში მცხოვრები მეცნიერისა და ლიტერატორის ივანე ბიწაძის ვრცელი წერილი „ვეფხისტყაოსანი“, გამოქვეყნებულია პალესტინაში ნაპოვნი შოთა რუსთაველის პორტრეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

თავის წერილში ივანე ბიწაძე ვრცლად აცნობს ბულგარელ მკითხველს რუსთაველის ეპოქას, იმ პერიოდის საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, თამარის მეფობის ხანას.

„სტოიან ბაკირჯიევის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, — წერს ბატონი ივანე, — შესრულებულია შესანიშნავად. მთარგმნელმა შეძლო შეენარჩუნებინა და გადმოეცა რუსთაველისეული ლექსის თავისებურება, მელოდიურობა, რიტმულობა და მიეტანა იგი ბულგარელ მკითხველამდე, შეძლო ეჩვენებინა მკითხველისათვის სიღრმე და სიძლიერე ამ დიდებული ნაწარმოებისა, რომელიც რვა საუკუნეზე მეტია ალელვებს მკითხველს, აცისკროვნებს ადამიანის გონებას უკეთესი იდეალებისაკენ სწრაფვით“.

სამედიცინო ქრონიკები

მეტად საინტერესო ნაშრომი შეუმატა მედიცინით დაინტერესებულ პირთა წიგნის თაროს. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ეხლახან გამოაქვეყნა ვახტანგ გიორგაძისა და ლევან სანიკიძის წიგნი „ძველი მსოფლიოს სამედიცინო ქრონიკები“.

ნარკვევში თავმოყრილია ცნობები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების სამედიცინო აზროვნებისა და სამკურნალო საქმის განვითარების შესახებ. დასახასიათებულია ანტიკური ხანის, კერძოდ, საბერძნეთისა და რომის მედიცინა, მისი უდიდესი წარმომადგენლები.

ამ დარგში ბევრი რამ დაწერილა როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირში, ქართულ ენაზე კი დღემდე თითქმის არავითარი ლიტერატურა არ მოიპოვებოდა ძველი მსოფლიოს მედიცინის შესახებ. დასახელებული ნაშრომი ერთგვარად ავსებს ამ ხარვეზს.

საბავშვო ნაშრომებს

გამომცემლობა „ჰაიასტანმა“ უმცროსი ასაკის ბავშვებს კარგი საჩუქარი მოუმზადა — ეხლახან სომხურ ენაზე გამოსცა ქართველი მწერლის ქეთევან ჭილაშვილის მოთხრობებისა და ზღაპრების კრებული „ნანა და საათი“.

ამ ზღაპრებსა და მოთხრობებში ნორჩი სომეხი მკითხველი გაეცნობა ურჩი ციყვის, კუდმოკლე ბაყიას, მკვეხარა ბაყაყისა და თავმდაბალი ბულბულის თავგადასავალს.

თარგმანი მაღალ მხატვრულ დონეზე შეასრულა ჟანა გასპარიანმა, მხატვრულად გააფორმა ლურიემ.



მოხუცები

ლადო რიონელის ფოტოეტიუდი.

ამ მთარგმნელებს შორის ალექსანდრე ჭავჭავაძე პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც დაამყარა ლიტერატურული ურთიერთობა ფრანგ მწერლებთან, მან ფრანგულიდან თარგმნა პიერ კორნელის „სინა“, „სიდი“, ჟან რასინის „ფედრა“, „ესთერი“, ვოლტერის „ტაქტიკა“, გადმოაკეთა ლაფონტენის იგავარაკები: „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, „მგელი და კრავი“ და „თხა და მელა“.

ქართველი მწერლები თავიდანვე მაღალ შეფასებას აძლევდნენ დიდ ფრანგ კომედიოგრაფს — მოლიერს, რომელმაც მაღლა ასწია ჰუმანიზმის დროშა და ევროპულ თეატრს დაუბრუნა ხალხურობა და იდეურობა. ისინი სისტემატურად თარგმნიდნენ მოლიერის კომედიებს და დგამდნენ თეატრის სცენაზე. მისი კომედიები ყველგან დიდი სიყვარულით სარგებლობდა. თვითონ მოლიერს „ქართული კომედიის პაპას“ ეძახდნენ. ჩვენს მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში მიკვლეულია ხელნაწერი ერთ-ერთი კრიტიკოსისა, რომელშიც წერს: „ქართველობაში არც ერთი უცხო ქვეყნის მწერალი ისე ცნობილი არ არის, როგორც მოლიერია. იმის კომედიები სხვებისაზე უფრო მოგვწონს, მის სიცილს ადვილად და ხალისიანად ვყვებით ხოლმე და მისი ნათქვამი სრულებით არ გვეუცხოება; თითქოს მოლიერსა და ჩვენს შორის ორ საუკუნეს არ გაევლოს, თითქოს ეს კაცი ჩვენი ახლო ნათესავი ყოფილიყოს. ქართველი რა უცხო კაცს აქებს, ჯერ იტყვის, ეს კაცი კეთილი კაციაო, პატიოსანი, ჭკვიანი და ბოლოს დაუმატებს: ერთი სიტყვით ნამდვილი ქართველიაო. ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლიერი ნამდვილი ქართველი კაცია. პირველად იმიტომ, რომ ყოველი ნაჭერი კაცი, რაც ტომისა უნდა იყოს, მთელს კაცობრიობას ეკუთვნის და მერე იმიტომ, რომ მოლიერი თავისი ხასიათით და ზნეობით ჩვენი ახლო ნათესავია... ყველა ეს თვისებანი ჩვენცა გვჭირს და ამ ხასიათის ერთობაში მდგომარეობს იდუმალი კავშირი ქართულ სცენასა და მოლიერს შუა. ამ ხასიათის ერთობით აიხსნება ის გავლენა, რომელიც აქვს და სამუდამოდ ექნება მოლიერის კომედიას ჩვენს თეატრზე“.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მოლიერის კომედიების ინტენსიური თარგმნა. მისი კომედია „სასაცილო მანჭიები“ თარგმნა დიმიტრი ყიფიანის ქალმა, მსახიობმა და საზოგადო მოღვაწემ ელენე ლორთქიფანიძემ, „ტარტიუფი ანუ მუზმუზელა“ — ივანე მაჭავარიანმა პროზად. ეს ნაწარმოები ჯერ დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“, შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა თბილისის წიგნის გამომცემლობამ 1901 წელს. დიმიტრი ყიფიანმა თარგმნა „ჩინებული სასძლონი“ („მოამბე“ № 7, 1894 წელი), „სიყვარული მკურნალობს“ („ივერია“ № 2 1879 წელი), „სიყვარული მხატვრობს“ („ივერია“ № 3, 1879 წელი); „ძალად ცოლის შერთვევინება“, „დაუცინია, ავად ვარო“, „ეჭვით ავადმყოფი“ („ივერია“ № 5-6, 1879 წელი), პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ჯგუფმა ივანე მაჩაბლის რედაქციით 1880 წელს თარგმნა „კრიჟანგი“ („ივერია“ № 9-10, 1884 წელი), გიორგი თუმანიშვილმა — „ჟორჟ დანდენი“. (გიორგი თუმანიშვილის „ალმანახი“, ნაწილი პირველი, 1878 წელი). ალექსანდრე ცაგარელმა — „მოუოდნელი საჩუქარი“ („თეატრი“ № 41-42, 45-46), აკაკი წერეთელმა — „სკაპენის ცუღლუტობა“.

გარდა ამისა ცალკე წიგნად გამოვიდა მოლიერის „დრამატული თხზულებანი“ (თბილისი, გამომცემლობა „სორაპანი“, 1909 წელი, „ქართველი და უცხოელი მწერლები“ წიგნი მეორე), „კომედიებს კრებული“ („ფედერაცია“ 1937 წელი), „ძუნწი“. აბრამ შვილისა და გაგუას რედაქციით (თბილისი, სახელგამი, 1929 წელი).

თანამედროვე ეტაპზე უფრო გაძლიერდა მოლიერის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა, უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან მის ქმნილებებს, იწერება სამეცნიერო ნაშრომები, იცავენ დისერტაციებს. ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევარმა პროფესორმა დავით ფანჩულიძემ 1962 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მოლიერი ქართულ ლიტერატურაში“.

ფრანგი მწერლის შემოქმედებაზე დასტამბეს ნაშრომები აგრეთვე პროფესორმა შოთა რუხაძემ, დოცენტმა ნუნუ ჭადრიშვილმა და სხვებმა.

1947 წლის 28 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა ნუნუ ჭადრიშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე — „მოლიერის კომედიების ქართული თარგმანები“, რომელშიც დისერტანტმა ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განიხილა ზემოაღნიშნული თარგმანები, დაადგინა მათი ავკარგიანობა, მიუთითა, რომ მთარგმნელები უმეტეს შემთხვევაში ამცდარებენ ქართული და ფრანგული ენების ჯარგ ცოდნას. ზუსტად ადგენს ცემენ ორიგინალის აზრებს, ენასა და სტილს. მკვლევარმა ამავე დროს გააკრიტიკა ზოგიერთი მთარგმნელის მიერ შესრულებული ნამუშევარი. ამ ნაშრომისათვის ნუნუ ჭადრიშვილს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

წელიწადს 15 იანვარს, შესრულდა მოლიერის დაბადების 350 წლისთავი, რაც საქართველოში ფართოდ აღინიშნა.

სერგო თურნავა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ქართულ-ფრანგულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს. ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ფრანგებთან იწყება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან. ამ დროის ქართული ლიტერატურის ძეგლებში მოხსენიებულნი არიან ფრანგები, ხოლო ფრანგულში — ქართველები.

საქართველოში იმოგზაურეს ჟან შარდენმა, ექვენ ორსოლმა, ფრედერიკ დიუბუა და მონტპერიემ, ბარონ დე ტიელენმა, შარლ ბელანჟემ, დიუპრე ადრიენმა, ჟან მურიემ, ბარონ დე ბაიმ, მარი ბროსემ, ანრი ბარბიუსმა, მორის ტორეზმა, მარსელ კაშენმა, პიერ სემარმა და სხვებმა. მათ საქართველოზე გამოაქვეყნეს შესანიშნავი ნაშრომები და ფრანგი ხალხი აზიარეს ქართულ კულტურას.

ქართველებიც იყვნენ დაინტერესებული ფრანგი ხალხის კულტურით, მრავალი ქართველი მეცნიერი და მწერალი საფრანგეთში ეზიარა სწავლა-განათლებას, კარგად შეისწავლა ფრანგული ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერს, რომ „ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეული არიან იმ სოციალურ-კულტურული თუ სხვა ხასიათის მოთხოვნილებებით, რომელთაც იყენებს ადგილობრივი მიმდინარეობა აზროვნებისა, მათი დახმარებით ვეცდობილობთ, რა ინტელექტუალური და მორალური ინტერესები ამოძრავებდა იმ ხანაში ამა თუ იმ ხალხს“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ონორე ბალზაკის, ვიქტორ ჰიუგოს, გი დე მოპასანის, სტენდალის, მოლიერის, პიერ კორნელის, ჟან რასინის, ჟან ლაფონტენის, ვოლტერის, ოგიუსტ ბარიეს, პიერ-ჟან ბერანჟეს, რუჟე დე ლილის, ჟან-ჟაკ რუსოს, ანდრე შენიეს, ჟორჟ სანდის, ფრანსუა ჟან მარმონტელის, ლამარტინის, ექვენ სიუს, პოლ ბერტს, ალექსანდრე დიუმას, ფრანსუა კოპეს, ერკმან-შატრიანის, ბრიეს, ბუვიეს, სტეფან მალარმეს, შარლ ბოდლერის, ალფონს დოდეს, ბომარშესა და სხვათა ნაწარმოებები. ამ შემოქმედთა საუკეთესო ნაწარმოებებს თარგმნიდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, სიმონ ქვარიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანტონ ფურცელაძე, გიორგი ორბელიანი, პლატონ იოსელიანი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, სტეფანე გამრეკელი, გიორგი დიდებულიძე, გიორგი ჩიქოვანი, ელენე ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანი, კონსტანტინე ბერძენიშვილი, გიორგი გვასავა, დავით ყიფიანი, თედო სახოკია, გრიგოლ ყიფშიძე, ივანე მაჭავარიანი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, გიორგი ჯაბადარი, ელენე ანტონოვსკი, ექვთიმე ჩიხელიძე, გიორგი თუმანიშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, სერგეი მესხი, ნიკო ლომოური, პეტრე ყიფიანი და სხვები.


დედაენა

საზღვარგარეთულ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით

გაკვეთილი 3




თასი
თა სი
თ ა ს ი
ს
თა-სი. სი-ა. სა-ა-თი. ის.
ა ი თასი. ა ი სია. ა ი სათი.
ა თ ი თასი. ა თ ი სათი.
ა თ ი სათია. ის თათია. ის თასია.



გაკვეთილი 4



თხა
თ ხ ა
ხ
თი-ხა. თხა.
ა ი თიხა. ა ი თხა. ა თ ი თხა. ა თ ი სათი.
ის თიხაა.
ის თასია. ის თხაა. ის სათია.



გაგრძელება. იხ. „სამშობლო“, 1972, № 1.

ᲐᲠ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲝᲗ, ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲣᲚᲘ!



შვი-ლო კოჯე!

გაზეთ „სამშობლოს“ წინა ნომერში მკითხველებს გავაცანით შვეიცარიაში მცხოვრები ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე კონსტანტინე კაიშაური. კონსტანტინე თბილისელია, აქ დაიბადა და იზრდებოდა. დედამისი პოლონელია და რაკი ნოსტალგია მიეძალა, სამშობლოში გაბრუნდა. მამამ, გიორგი კაიშაურმა პატარა კოტეს წაყვანაზე უარი ვერ უთხრა მეუღლეს... 8 წლიდან კოტე პოლონეთში იზრდებოდა. ეხლა კი შვეიცარიაში ცხოვრობს და სტოკჰოლმის ერთ-ერთ ლიცეუმში სწავლობს. კარგად იცის პოლონური, რუსული, ინგლისური და შვედური ენები. სამწუხაროდ, ქართული ენა დაავიწყდა.

კოტე კაიშაურმა ჭადრაკით გაითქვა სახელი. ამ თამაშს პირველად თბილისში ეზიარა. შარშან გაიმარჯვა ვარშავის ჭაბუკთა შეჯიბრებაში, მერე პოლონეთის ჩემპიონი გახდა. ამ წარმატებებმა გზა გაუკაფა დიდი სარბიელისაკენ. შარშან



ზაფხულში კოტემ საბერძნეთში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში ითამაშა, წლეულს კი შვეიციის ჭაბუკებს ეჯობა, ევროპის პირველი ჩემპიონატის საგზური მოიპოვა და ამ დიდ ტურნირში საპატიო მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. ეი სწორედ ამის შესახებ ვესაუბრეთ ჩვენს მკითხველებს გაზეთ „სამშობლოს“ 1972 წლის 1 ნომერში. ამ დღეებში რედაქციას ესტუმრა კოტეს მამა — გიორგი კაიშაური. მოიტანა პატარა კოტეს ფოტოსურათები, წერილი შვილისადმი და გვთხოვა — ეგებ გამოაქვეყნოთო.

ჩვენ სიამოვნებით ვუსრულებთ ამ თხოვნას.

სურათებზე: კოტე კაიშაური (მესამე რიგში, მარჯვნიდან მესამე), თბილისის პირველი საბავშვო ბაღის თანატოლებთან, შუაში რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნატალია უნაფქოშვილი; მამა-შვილი კაიშაურები.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი და „სამშობლოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის თანამშრომლის ლია მიქაძის დედა

თამარ მალაქიას ასული
ქოჩიაშვა-მიქაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩემო ტაგლი-ტუგლი ბიჭო, ესე გეძახდი პატარობისას. ვიცი, რომ ეს სიტყვები სამუდამოდ შერჩება შენს მეხსიერებას, ამიტომ ესე მოგმართავ ეხლაც, ჩემო უკვე დავაჟკაცებულო შვილო!

შენ თბილისელი ხარ, ბიჭო! შენი სამშობლო ხმელეთის ულამაზესი კუთხე — საქართველოა. აქ დაიბადე და იზრდებოდი ქართულ საბავშვო ბაღში, ქართულ სკოლაში. კლასიდან კლასში ქების სიგელებით გადადიოდი. გყვანდნენ საუცხოო ამხანაგები: ირაკლი პაპავა და ლაშა ძიძიგური, ირინე შადური და ნიკა ცინცაძე, თამრიკო აბაშიძე და ბიბი კინწურაშვილი, მარინე ჯანელიძე და მერაბ ორმოცაძე, შენი მასწავლებლები თუ გახსოვს ქეთევან ქამუშაძე და ნატალია უნაფქოშვილი?

თუ გახსოვს, რა კარგი ქართულით ლაპარაკობდი ერთი ციდა ბიჭი. მე მეამაყებოდა კიდეც მშობლიური ენისადმი შენი დიდი სიყვარული, შენს ქართულს დიდმა ლიტერატორმა გერონტი ქიქოძემ მიაქცია ყურადღება, შეგაქო, მხრებზე ხელი მოგითათუნა და გითხრა: ყოჩაღ ჩემო კოტე, ბევრმა შენგან უნდა აიღოს მაგალითიო.

ჭადრაკით გაითქვი სახელი, შენი თბილისელი პარტნიორები იყვნენ უფროსი ძმა ჯიმშერი, ბიძაშვილები მერაბი, გურამი, ნუგზარი...

სწავლობდი ინგლისურს, დადიოდი მუსიკაზე, ცეკვაზე. შენს აღსაზრდელად იღვწოდნენ ამაგდარი ადამიანები: ჯიმშერ მუჯირი და შარლოტა მაბარაძე, დურმიშხან ბაკურაძე და ნინო ცინცაძე.

როგორ გვიყვარდა ქალაქგარეთ ხეტიალი კაიშაურებს! ჩვენი კუთხე — მთიულეთი მოგვწონდა. გული ფასანაურისკენ, კაიშაურთ გელისაკენ მიგიწევდა ხოლმე და დავდიოდით კაიშაურსა და გორში. ანანურსა და ჩარგალში, ბორჯომსა და ბაკურიანში, თელავსა და წინანდალში, კოჯორსა და მანგლისში, სოხუმსა და გაგრაში. ეს მთლიანად ჩვენი სამშობლოა — ჩვენი საქართველო. გახსოვს, რეზო სარალიძესთან ერთად, რომ ჩახატე ბეთანიის მონასტერი? ის ნახატი ეხლაც შენახული მაქვს, ჩემო ტაგლი-ტუგლი ბიჭო!

რვა წლისა შესრულდი და დედა-შვილი წახვედით. მე ვერ ვუთხარი უარი დედაშენს წაყვანაზე. ქალი, რომელსაც ნოსტალგია მოეძალა, მოენატრა სამშობლო და თავისიანები, უშენოდ ვერ იცოცხლებდა. წახვედით, მაგრამ დღედაღამ ჩემი ფიქრი თქვენ დაგტრიალებთ. ვაი რომ სხვათა ენები ისწავლე და მშობლიური დაგავიწყდა! ეს არის მამაშენის ვარამი, რაც კარგად გამიგე. შენ მწერ, რომ უკვე ჩაუჯექი დედაენის აღდგენას. ლექსიკონები და სახელმძღვანელოებიც ხომ გამოგიგზავნე და აბა შენ იცი. უკანასკნელად, 1967 წელს რომ ჩამოხვედი საქართველოში, მითხარი, 18 წლისა როცა შევსრულდები, ჩემს ქართულს, ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს, სამშობლოს შემოვუბრუნდებიო. აბა, შენ იკი, როგორ შემოუბრუნდები ქართულს, როგორ აასრულებ სიტყვას. ვიცი შენ გეამაყება და გახარებს ყოველივე ქართული, სამშობლოს სიყეთე. ზეპირად მახსოვს ნაწყვეტი ერთი წერილიდან: „მამა, ვარშავაში ჩამოვიდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. თეატრის დირექტორმა, პროფესორმა დიმიტრი მჭედლიძემ მე და დედა მიგვიწვია და მოვისმინეთ ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“. შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მე მიხაროდა, რომ „დაისმა“ ჩემსავით აღაფრთოვანა ვარშაველები. გმადლობთ, მამა, იმისათვის, რომ პატარობისას ზოგჯერ ძალით მიგყავდი ხოლმე სპექტაკლებზე, ოპერაში. აი აქაც, როგორც კი დაიწყო „დაისი“, ვიგრძენი, რომ ქართველი ვიყავი. ჩემთვის გასაგები იყო ამ დიდებული ნაწარმოების თითოეული ნიუანსი“.

დრო კი მიდის, ჩემო ვაჟკაცო! დრო მიდის და იზრდები ტაგლი-ტუგლი ბიჭი. მიხარია, რომ ლიცეუმში აღიარებული მოსწავლე ხარ, განსაკუთრებით მათემატიკასა და ქიმიაში. შენმა მიღწევებმა ჭადრაკში ყველანი გაგვახარა. ქართული პრესა სიამოვნებით წერდა ჭაბუკ მოჭადრაკე კოტე კაიშაურზე, რომელიც წარმატებით გამოვიდა ევროპის პირველობაზე, წერდა „კომუნისტი“, „თბილისი“ და „ლელო“. დიდი ადგილი დაგითმო გაზეთ „სამშობლოს“ სპორტულმა განყოფილებამ.

ეხლა რამდენსამე სიტყვას გაზეთ „სამშობლოს“ შესახებ მოგწერ, შვილო. ეს არის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა, რომელსაც მიზნად დაუსახავს ემსახუროს შენსავით უცხო მიწაზე მცხოვრებ ქართველებს. რომ იცოდეთ თქვენი სამშობლოს ყოველდღიური ცხოვრების ამბები, რომ არ დაგავიწყდეთ ენა ქართული და რაკი ქართულის შესწავლას გულმოდგინედ ჩაუჯექი, ერთ რჩევასაც მოგცემ: „სამშობლომ“ წლევანდელი — 1972 წლის პირველი ნომრიდან დაიწყო ქართული ენის გაკვეთილების ბეჭდვა. გამოიყენე, შვილო, ეს გაზეთი შენი სურვილის აღსასრულებლად. დაიწყე გოგებაშვილისეული „დედაენა“ მიხედვით შედგენილ გაკვეთილებს. „დედაენით“ სწავლობენ შენი მოძმენი ქართულს და რაკი შესაძლებლობა გეძლევა, შენც იხელმძღვანელე, გული გაუხარე მამას.

ვიცი, რომ საქართველოს ერთგული ხარ, მამულის მოტრფიალე და მისი მსახური იქნები ყოველთვის.

იცოდე, შვილო:

დიდების გვირგვინი მას შვენის, ვინც ზნესა და ფერს არ იცვლის, ვისაც მამულისათვის უძგერს გული.

ისეთ ქვეყანაში დაირწა შენი აკვანი, ისეთმა მადლიანმა მიწამ გაწოვა ძუძუ, ისეთი წინაპრების შთამომავალი ხარ, რომ მჯერა: არასდროს დაგავიწყდება მამული, ისევე როგორც, არასდროს დაგავიწყდება შენი პირველი სიტყვა, ქართული — დედა! დედაშენს ხომ ეხლაც ესე მიმართავ!

შენი ერთგული მამა
გიორგი კაიშაური

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.